

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსტ ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 19

2020



მთ. რედაქტორი

ნააოლეონ ლემონჯავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-826-7 (19 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემული გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემლება „მოლოდინება“ გამოსცემა ვაშა ებრისელის „კოლხური შასლებულები“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, შვაიცარიის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-  
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-  
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერო-  
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზილენტი, ცხობილი  
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის  
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,  
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი  
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი  
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-  
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი  
(შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივან შეხვდი ყოველ ქაბას, ყოველ  
ძაგებას.“

ა. პუშკინი

ჭიროვაობის მაბირ

(გაგრძელება)

მითოსიდან ამოიმართა ღმერთქალი აფროდიტე, რომელმაც მკითხველის გული საოცარი ინტიმური გრძნობით ააძგერა – აფროდიტე, პანდემოსი – ხორციელი სიყვარულის განსახიერება, – როგორც ბატონი კოტე მელაშვილი ბრძანებს, – და აფროდიტე – ურანი ციური სიყვარულის ხატი, ერთად თანაარსებობენ. რაოდენ დიდია პოეტის სახისმეტყველების ძალა, როცა ამბობს:

„ზღვა ისევ ბორგავს –  
ქარიშხალის

ჯვარზე გაგრული.

ჩუმი ბლავილით მშობლიურ მთიდან –  
მოიზლაზნება მდინარეთა გამხდარი ჯოგი,  
გავცქერი ღელვას...  
და მე ღელვის ნელ ცეცხლზე ვთბები.



აფროდიტემ კვლავ გაშალა ომები  
და აპა, უცებ დაღამდა სივრცე“.

\*

„გაქრთა სინათლე –  
ცამ გაიოცა,  
ზღვაზე ქარიშხალს  
დრუბლის ფარა უძოვებია.  
ეს ორი ზვირთი,  
ზღვის მკერდიდან რომ აიბორცვა,  
ზვირთები არა,  
აფროდიტეს ძუძუებია“.

ვაჟა ეგრისელის ეს სტრიქონები გულში ჩამ-წვდომია და სულის განმასპერაკებელი. ეს დიდი ოს-ტატის მიერ დახატული შთამბეჭდავი სურათია და ისეთი ნათელი, რომ უნებურად ცოცხალი მოწმენი ვხდებით, თუ როგორ იხურება ცის კარები აფროდი-ტეს გაშლილი თმებით. ამ ლექსით პოეტი ეხმიანება ხალხის მექსიერებაში გამჯდარ მითოლოგიას და მი-თიურ თქმულებებს და რეალობაში წარმოგვიდგენს.

ვაჟა ეგრისელის გრძნობა, აზრი, სურათი აღსავ-სეა გამოუთქმელი პოეზიით. პოეტი თანაუგრძნობს ყოველივე დიდებულსა და ამაღლებულს, რაც განვი-თარებულია ისტორიულ ნიადაგზე. მისი სული ღრმად ჩაწვდა წარსულის საიდუმლოებას:



„სანაპიროზე წევს ივლისი  
ტანაქერცლილი  
და ცხელ ქვიშაზე ხარხარებს ხვატი.  
ნაპირთან გდია პატარა ნავი,  
ვით აფროდიტეს  
ცისფერი ქოში.  
მიწის კალთაში კვლავ უდევს თავი  
ზღვას და  
ნაპირის სველ სახეს ლოშნის“.

ეს ბრწყინვალე სურათია, ზღვისკიდებე მიგდებული ნავი აფროდიტეს ცისფერი ქოშია და თითქოს მკითხველს უმძაფრდება სურვილი, მოხარხარე ხვატს აფროდიტეს ცისფერი ქოში-ნავი მოსტაცოს და ზღვის ტალღები გადასცუროს.

ვაჟა ეგრისელი ზღვის ქვესკნელშიც ჩაგვახედებს და პონტოს ისტორიის ლაბირინთებში მიმოგვატარებს, რამეთუ მართლაც:

„ცაზე ბრწყინავდა შარავანდედი,  
დვთის სადიდებლად აღანთებდა  
თეორ სულს ტყემალი,  
პონტოს თვალებზე ენთო სსოვნა  
ცბიერ ბერძნების,  
ზეირთები ხტოდნენ ვით ერკემალნი  
და მთები იდგნენ როგორც ვერძები“.



ვაჟა ეგრისელის ეს ლექსი ქართულ მეტყველებაში მოძიებული სახისმეტყველების ჭეშმარიტი ნიმუშია. ამ ბოლო ორ სტრიქონში პოეტის უზადო შესაძლებლობები ჩამოიდგარა. ზღვარი თითქოს გაიშალა და პოეტის სულიც უსასრულო სამყაროსაკენ მიისწრაფვის, რათა გულით განიცადოს ბუნების საოცარი დღესასწაული, როს:

„ზეირთები ხტოდნენ ვით ერკემალნი  
და მთები იდგნენ როგორც ვერძები“.

მართებულად ბრძანებს დიდი მეცნიერი ქალბატონი ლუარა სორდია, როცა წერს: „მომავლის იმედი თქროს ვერძად არის სახელდებული, რადგან დიდი წარსული მომავლის მასტიმულირებელია ხოლმე... თუ რატომ არის პოეტისათვის თქროს საწმისი იმედი და რატომ ელტვის მას ასე დაჟინებით, გაცხადებულია იმ რწმენაში, რომ სწორედ მისი შემოქმედება არის „ოქროს საწმისი“ ანუ სიბრძნით სულიერების ახალი საფეხური.“

„ვაჟა ეგრისელის პოეზია საღვთო სიბრძნის ჯერაც განუჭვრებელი სალაროა.

ტიტანური „კოლხეური ფსალმუნების“ აგტორმა თვითშექმნა ახალი სულიერი ცენტრი, საღვთო სიბრძნით გასხივოსნებული მიწიერი სამოთხე, წმინდა მიწა, აღდგომის კუნძულებზე, ზღვაში ააგო ახალი



კოშკი, დანერგა ახალი „ოქროს ბაღები“. მან გრაალი არა ჰიმალაის, შამბალას, ანდების მწვერვალებზე დალანდა, არამედ კოლხეთში, კავკასიონის მთებზე, „წმინდა მთა“ და ქვესკნელში გაუჩინარებული გრაალიც აქვე აღმოაჩინა“. წიგნიდან „წერილები.“ (ბიბლიის ერთი კონცეფცია... აპოკალიფსური სახეები გრაალის იდეალი, 2009წელი.)

პოეტი ქმნის არაერთ მხატვრულ სახეს, სადაც ვხვდებით არგონავტებს, მედეას, იაზონს. პოეტი მათ ხსოვნას უფრთხილდება და ზღვის სანაპიროზე მათი ხსივნათელი აჩრდილები ეზმანება, როგორც სიმბოლო დაუმორჩილებლობისა და გმირული ცხოვრებისაკენ სწრაფვისა.

„უცხო ხომალდის ტკაცუნობს  
აფრა,  
ტანში აქრეოლებს  
პონტოს და ფაზისს.  
ნაპირი ღელავს...  
და ივარცხნის ზვირთოა  
შავ დალალს.  
წარსულის ტოტებს ხსოვნა კვლავ  
არხევს...  
არგოს ჰგავს მთვარე,



მედეასფერ ღრუბლებში მალავს  
ცა – ვარსკვლავებით  
დაჭორფლილ სახეს“.

ამ ლექსში უცხო ხომალდი პოეტის რწმენით  
წარსულის სიმბოლოა იგი კვლავ ამშვენებს პონტო-  
სა და ფაზისის სანაპიროს. ზღვის ზეირთები და-  
ლალს ივარცხნიან, ხოლო მედეასფერ ღრუბლებში  
ცას დაუმალავს „ვარსკვლავებით დაჭორფლილი სა-  
ხე“. ეს ლექსი ჩემი დრმა რწმენით პოეტის ოცნების  
ყოვლისშემძლეობის ჭეშმარიტი ზეიმის გამოხატუ-  
ლებაა. ვაჟა ეგრისელი ფიქრის, ოცნების პოეტია. მი-  
სი სატრფოსთან ინტიმური განმარტოების გარემოც  
ზღვით სუნთქვავს. პოეტი ამ განცდას ასე გამოხა-  
ტავს:

„...შენი სუნთქვა მიჭირავს ხელში  
და თეთრ საწოლზე  
და ფიქრებში გულაღმა ვწევარ,  
ახლა დამეა.  
მომწევდეული წიგნში ზღვა სგნეშის,  
ისმის ანძების ჭრიალი და  
ტალღების რწევა“.

პოეტს სამშობლოს სიყვარული რომ გათანგავს,  
მითოსიდან ამურს გამოიხმობს, მშობლიური ზღვისა



და ცის, ვარსკვლავებისა და სემირამიდის ბაღებს რომ დაუტკბება, მედეა და აქილევსი გამოჰყავს და თავის ლექსებში მიუჩენს კუთვნილ ადგილს. ამური – სიყვარულის ღმერთია, მამულია, რომელიც ტრფობით დაგგმანთაგს. მედეა კოლხეთის პირმშვენიერი ასულია, რომელიც გრძნეულ დამეს განასახიერებს; აქილევსი – ეს ცაზე გადმომდგარი მითიური გმირია, რომლის ვეგბა ფარი კოლხეთის ცაზე გადმოკიდებულ მთვარესა ჰგავს. პოეტი ცხადად გრძნობს და აღიარებს, რომ მითიური შრეების საწყისი ათასწლეულების მიღმა მოჩანს, რომ:

„ლეგენდებიდან მონაბერი ართობს ნიავი  
და დამის წყვდიადს  
ადარ იკარებს,

ათასწლეულთა მიღმა მოჩანს მისი საწყისი  
განფენილია შავი ზღვის კარად  
ჩემი კოლხეთი – ოქროს საწმისი“.

ხშირად შეგვახსენებს ვაჟა გარისელი მითიურ გმირებს: ჰელიოსს, დიონისეს, აქილევსს.

„ათასწლეულთა მიღმიდან,  
კვლავ რომ მოგვესმის  
უპვდავების ძახილი.



— აქილევსი!

ფარით-ქუსლამდე, —

მცირე სოფელში ვისაც დარჩა გმირის სახელი,  
ვიდრე იმ დიდში

გაქუსლავდა“!

ან:

ზღვით,

სმელეთით სდია ნისლებს,

მოადწია კოლხეთს გეშით.

და ლვინის ღმერთს დიონისეს,

სულ მუდამ მთვრალს

და გალეშილს,

ქველ „ცეპუბას“ და „ფალერნოს“

ურჩევნია „ოჯალეში“.

მნელია უფრო დიდებული სურათების დახატვა.  
პოეტმა აქ საქართველოს წარსული წარმოგვიდგინა,  
მაგრამ ამავე დროს დაგვანახა ჩვენი დღევანდელო-  
ბაც. „ომაგაწეწილი მედვა“ ხომ ჩვენი ქართველი დე-  
დის ტიპური სახეა, რომელიც ნატრობს უდრუბლო  
ცას, უშფოთველ ცხოვრებას ყველა მოდგმისათვის.  
ამ ლექსშია დიადი ენერგია, სიწმინდე და თავგან-  
წირვა, რამეთუ ბიბლიური მითი პოეტისათვის მიწიუ-  
რი სხეულისა და არამიწიური სულის ჰარმონიაა:

„ამაღლდი სულო!  
სხეულიდან ამოიწიე“  
(გებდაუჭება მიწიერი არამიწიერს)  
და ღვთის საუფლო,  
უსამანო ლაუგარდს გახედე,  
ეს სულ ერთია  
სივრცეები გერთვის  
თუ ერთვი.  
და ამით უფალს თუ შესცოდე,  
ამ „სითავხედეს“  
მაღალია და...  
შეგინდობს ღმერთი“.

ვაჟა ეგრისელმა მითიური გმირებით დაასახლა  
საქართველოს მიწა. მთიდან ზვავივით დაშვებული  
მდინარესავით შორეული წარსულიდან იდებს სათა-  
ვეს ვაჟა ეგრისელის დიადი ჰუმანიზმი, სწორედ ეს  
გვაოცებს და გვხიბლავს ჩვენ, მის მკითხველებს.

აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია ბრძანებს: „ეგ-  
რისელის პოეზია, ისევე როგორც ყოველი დიდი პო-  
ეზია უკიდურესად სუბიექტურია. მისი არეალი, სა-  
ხისმეტყველება, მეტაფორული სმენა, ინტუიციური  
და ასოციაციური სამყარო ძნელი ასახსნელია“. მისი  
ვაჟგაცური, ჯანსაღი სულით და ხორცით დამშვენე-  
ბული სიყვარულის გამა თავიდან ბოლომდე ანალო-



გიური სახით გასდევს მის სულ მცირე ლირიკულ  
შედევრს:

„ცივი დუმილით და სიმყუდროვით  
დამე გადრიკეს მნათობებმა გამოენისას,  
შეწუხებული შავი ფერი თეთრით იცვლება.  
ცისკრის ვარსკვლავი, კარგო ჩემი სიყვარულია,  
ახლოს ვერ ბედავს და შორიდან გელაციცება“.

როგორც ჭაბუკური მორცხვობისა და თავშეუ-  
კავლებლობის სიმღერას, მოკრძალებით, აბჯარას-  
ხმული კოლხი მზეჭაბუკი ჩვეული ლირიზმით უმღე-  
რის საყვარელ არსებას.

და მაინც ვაუა ეგრისელის ზღვა ეროვნულთანაა  
დაკავშირებული. თავად პოეტი ბრძანებს „ზღვა ჩემი  
მამულია“. მამულის სიყვარულის, მის ღიდებული  
წარსულისა და ნათელი მომავლისაკენ სწრაფვის  
სიმბოლოდ აღიქმება არაერთი ლექსი. ზღვის ჭეშმა-  
რიტი სიყვარულით გულანთებული ვაუა ეგრისელის  
არსება ბრძოლის, სიცოცხლის, ნათელი მერმისის  
მაძიებელია. პოეტს დრმად სჯერა, წლები გავლენ,  
მაგრამ მრავალი დღე და დილაც გათენდება მისი  
ზღვების მოსაგონრად:

„ვიყავ დარიბი...  
და ვით შემეძლო,



დავასახლე აქ ჩემი ზღვები.  
აქ შევასვენე  
გრიგალები შორეთს მავალი,  
თუმც შესვენება აღარ ენებათ...  
მოვლენ დღეები...  
თეთრი ღამეც მოვა მრავალი  
აქ, – ჩემი ზღვების გასახსენებლად“.

### ზღვის პოეტური აღმა

ვაჟა უგრისელის ზღვათა პოეზიას რომაული  
ღვთაება წეფტუნი და კარიადიტები ამშვენებენ. წეფტუნი ზღვის გამგებელი ღმერთია. პოეტი საოცარი  
მხატვრული ფერებით წარმოგვიდგენს ღმერთის მიერ  
ზესკნელისაკენ აზიდულ ზვირთებს, რომლებიც ცის  
სვეტებად აღმართულნი ქალთა ქანდაკებებს ჰგვანან:

„ღრუბელი არა,  
უხმობს წეფტუნი,  
სიცოცხლეს მისას ღმერთი წარმართავს  
იდუმალების სხივით მოცული.  
უმაღლეს ზვირთებს ცას შეუდგამს  
კარიადიტებად,  
მერე ზღვა,  
უცებ, როგორც მლოცველი  
ნაპირთან მუხლზე დაეცემა და ატირდება“.



მშობლიური ცისა და მიწის ტრფიალით გულან-  
თებული პოეტი არაერთხელ უბრუნდება მითოსს არ-  
გონავტების შესახებ. არაერთხელ ახსენებს კოლხე-  
თის პირმშვენიერ ასულს მედეას. მისდამი არაჩვეუ-  
ლებრივი სითბოთი წერს პოეტი:

„...ღელვის ტაძარში,  
ვით მეგობარს  
მაშინ შევული,  
როცა წუხს ნათელს პირმშვენიერი –  
მედეასავით დამე გრძნეული“.

პოეტს ზღვაც მედეას ოხვრად წარმოუდგენია.  
აქ უნებურად გამახსენდა პროფესორ რაგიმ ანდრია-  
ძის სიტყვები: „ვაჟა ეგრისელის თვალთახედვა, პოე-  
ტური წარმოსახვა აერთიანებს სამყაროს ისტორიულ  
და გეოგრაფიულ წარსულს და დღეგანდელობასთან  
კავშირში აღიქვამს მას“... რა დიდებულადაა ნათქვა-  
მი:

„ეს ზღვა კი არა,  
მედეას ოხვრაა,  
ვითარც სხვა შვილმკვდარი დედები,  
მასაც აქვს უფლება ოხრავდეს,  
მან გადასცურა შორეული ზღვა  
ლეგენდების



და მოადწია ელადიდან –  
კოლხამდე“.

ვაჟა ეგრისელმა ალვის ტოტზე დაკიდულ მთვარეში ოქროს საწმისი მოიაზრა, ხოლო ცაზე გამკრთალი ელვა იაზონის მოქნეულ სახრედ წარმოგვიდგინა და ამით კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა მოწიწება და თაყვანისცემა წარსულისადმი, გვაგრძნობინა მარადიული ჰიმნი სამშობლოს, მამულის სიყვარულისა:

„ალვის ტოტებზე დაკიდულ მთვარეს,  
ვით ოქროს საწმისს,  
ქარი კვლავ არხევს.  
და ცაზე უცებ გამკრთალი ელვა,  
მე მეჩვენება აიეტის ცეცხლის ხარებზე –  
იაზონის მოქნეულ სახრედ“.

შორეული ასოციაციების ამდაგვარი თავმოყრა ალბათ ვერასოდეს გამოხატავს განცდილი რეალობის როულ სტრუქტურას, მას რომ შემკავებელი ძალა არ აწესრიგებდეს. აქად რეფლექსის სიტყვაში მოლივლივე აზრის სისავსე, ხორცი შეასხას როულსა და სინთეზურ გრძნობა-განწყობილებას და მთელი არსებით განგვაცდევინოს უკიდეგანო სიყვარული და ერთგულება.



სელოვნების, პოეზიის მარადიული წყარო ცხოვ-  
რება და ფანტაზიაა. ვფურცლავ ბატონ ვაჟა ეგრისე-  
ლის წიგნებს და ვგრძნობ რომ მისი ლირიკული  
ლექსები უმვირფასესი ქმნილებებია ინტელექტუალუ-  
რი კაცის ხელით დაწერილი, სადაც ცხადად ჩანს  
ქართული ფენომენი. იგრძნობა სინატიფა, სამყაროს  
ფილოსოფიური ჭვრება და მოუხელთებელი ოცნები-  
საკენ სწრაფვის დაუოკებელი წყურვილი...

„ვაჟა ეგრისელმა თავისი საოცრად ემოციური  
და აზრნათელი სერიოზული შემოქმედებით ღირსეუ-  
ლი წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის შემდგომი  
წინსვლა-განვითარების სამამულიშვილო საქმეში“ –  
(ნაპოლეონ ლემონჯავა, აკადემიკოსი.)

ადამიანური არსებობის პოლარულობაა მისი,  
როგორც ლირიკოსის სულის სუბსტანცია. სიყვარუ-  
ლი განცდილი, სიკვდილი მეტაფიზიკურად დაგემოვ-  
ნებული, ფილოსოფიურად გამართლებული და სი-  
ცოცხლით ძლეული.

დიახ, ადამიანური არსებობის აზრი მხოლოდ  
სიცოცხლის სილამაზესა და სიყვარულშია, მხო-  
ლოდ ამით შეიძლება სიკვდილის დათრგუნვა:

„...ავაგიზგიზოთ სიკეთის და რწმენის  
კოცონი,  
რომ ბინდისფერი ცრუ სოფელი  
გაგაჩირადდნოთ“.



ვაჟა ეგრისელმა თავის შემოქმედებაში დაამ-  
კვიდრა ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე  
შეხედულებათა პლურალიზმი. პოეტი ხან კანონზო-  
მიერებებზე ჩაფიქრდება იქ, სადაც ქაოსია და უწეს-  
რიგობა, ხანაც მოვლენათა წინასწარ განსაზღვრულ  
დინებაში ხედავს უწესრიგობას. პოეტმა თითქოს წი-  
ნასწარმეტყველურად განჭვრიტა ჩვენი დრო, ჩვენი  
წინაპრების უმაგალითო გამარჯვებების გვირგვინე-  
ბი, როცა დრმა რწმუნით გულანთებული წერს:

„აღმოსავლეთით ფრთებს შლის ცისკარი,  
„ქართლის ცხოვრება“ –  
წარსულს მილამპრებს.  
მთვარე პკიდია სიშორეთში ვით ბუმერანგი,  
და კოლხურ დამეს,  
ბრძოლით დაღლილ, ვით ჩემს  
წინაპარს,  
ტანზე აცვია ვარსკვლავების  
ჯაჭვის პერანგი“.

ვაჟა ეგრისელის ამ ლექსში ძლევამოსილი პუმა-  
ნიზმის ექოა. ზღვის ტალღებზე დაცურებული მზის  
სხივებით ბრდდვიალებს პოეტის სული. პოეტის კაც-  
ომოყვარეობის – გასაოცარი გრძნობით არის გასხი-  
ვოსნებული ასეთი მეტაფორული თქმაც:



„სანაპიროზე ვზივარ და მუხლზე  
მიღევს შაპ-ნამე,  
მოვა ნიავი ზღვიდან უცებ და გადამიშლის.  
ცის უზარმაზარ ტახტრევანზე წევს  
დიდი დამე  
და უდევს მთვარის თეთრი ბალიში“.

სწორედ აქაა მძაფრი სურვილი სიცოცხლის მა-  
რადისობისა, ზღვიდან მონაბერი ნიავი, რომ ცხადად  
აგრძნობინებს პოეტს ზღვის უდიდეს მნიშვნელობას.

ზღვა, რომელსაც მზე ბავშვივით დასთამაშებს  
და „თოლიებით დანისლულია“, პოეტის არაწვეულებ-  
რივი მგრძნობიარე ბუნების მესაიდუმლეცაა.

მეოცნებე და ზღვაზე მთელი არსებით შეყვარუ-  
ბულ პოეტს აღმოხდება:

„ზღვა მზით გამდნარი არის  
ფოლადი –  
მიწის ვეება ყალიბში ჩასხმული“.

პოეტის ხალასი ნიჭი ვლინდება მის ნატიფ,  
დახვეწილ გემოვნებებში, მიუწვდომელი და შეუდა-  
რებელია მისი პოეტური მეტაფორები:

„დუმილის მტვერში თვალს გაახელენ  
და დავიწყების ტრამალიდან  
მოვლენ ქარები –



მათ ლურჯ თითებზე ზამთრის დამე  
ბროლად დატყდება  
და ნამსხვრევები რომ შეაგროვოს,  
ნაპირი ტალღებს  
აიკაპიწებს“.

ამ ლექსის სტრიქონები მკითხველს უნებლიერ  
ამახსოვრდება. ჩემი დრმა რწმენით იგი განსაკუთრე-  
ბული მეტაფორულობით გამოირჩევა. დამატყვევებუ-  
ლია „ქარის თითებზე ბროლად დამტყდარი დამე“ –  
რომელიც ხელმეორედ შესახვედრად გიხმობს, გება-  
ხის...

### ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანგაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

გაგრძელება შემდეგ ტომში



### ჰეზესტო და თარხონი

ცამ როდესაც იშვილათ,  
მათ ხელთ ეპყრათ შიშივით,  
მეხი ზევსის ნაქონი.  
და ზარს სცემდნენ სამყაროს –  
ჰეპესტო<sup>1</sup> და  
თარხონი<sup>2</sup>.

1989

<sup>1</sup> ჰეფესტო (ბერძნ.) – ცეცხლის ღვთაება

<sup>2</sup> თარხონი (ბერძნ.) – ჭექა-ქუხილის ღვთაება.

\* \* \*

ରାଧଗାନାତ୍ ଓହି ଜଣାମା ହେବନ୍ତବୀରେ,  
ଅଧାମିରେ ଥରଦଗମା  
ମିଥିମ କାର କାଲିଶି,  
ଓର କାତୋ କାବଲିଦାତ,  
କବଲାଦ ଫର୍ମିରିବି.  
ମନ୍ଦିରରେ ଓହି, ଅମାଲିଲିଦା ଚାହି,  
ରା ଶେଇବେଳା,  
ମିତିକାରିତ ଜରିବି!

1960



\* \* \*

ცათამბჯენის თუ ოკეანის,  
არავინ იცის,  
ვისი ჟინი აქვს,  
დილა რომ თენდება ბინდიანი.  
ტკბილი ძილით სძინავს  
ვირჯინიას,  
აიდაპოსა და ინდიანას.

1983



## ხეა ფარსულიდან

ასჯერ კი არა,  
ათასჯერ,  
უმეტეს ურჯულოებთან,  
როდესაც გავიმარჯვებდით  
დილის მზეს ემსგავსებოდნენ  
ერუშეთი და  
კლარჯეთი.

1967



\* \* \*

თვალებს განზრახ იბრმავებენ,  
სმენას,  
ვითომ იყრუებენ  
და შენი „მოკალმენი“,  
ისევ ისე გიყურებენ,  
როგორც აბელს –  
კაენი.


2008



\* \* \*

მესიის დიდ მოლოდინში,  
ბეთლემს,  
ღამის არის თევა,  
მაგრამ ჯერაც არ ჩანს ქრისტე.  
მე კი ადამის და  
ევას  
წურჩულს ბიბლიიდან ვისმენ.

1971



## ეპხინი და ჰელისაონტი

წარსულ დღეთა ქარიშხალი,  
ყინვის დამზრალ  
ხმელეთს კორტნის.  
მოვა დრო და ეს ნისლები.  
ვითარც ადრე ევქსინი<sup>1</sup> და  
ჰელესპონტი<sup>2</sup>,  
ჩემს დიდ შავ ზღვას  
დაერქმება „ეგრისელი“.

1967

---


<sup>12</sup> შავი ზღვის უძველესი სახელწოდებები.



## ბავშვობის მზე

ვით აფროდიტე ქაფიდან,  
პონტოს ზეირთებში ნაშობი,  
დრომ,  
სად მიმალა ვერაგმა,  
შენი ლამაზი ბავშვობის  
მზე, —  
ოქროს ყვითელპერანგა!

1988



\* \* \*

სოფლის დობიდან გადმომდგარა და  
სილურჯეს ყვირის იასამანი.  
აქ, სადღაც მყუდრო არის სავანე  
დედამიწაზე მოხეტიალე –  
შენა ხარ სივრცე უშორესი  
და უსამანო.

2005



\* \* \*

ათასწლეულების წინ ნაშენ  
ქალაქებს პგვის მიწის  
პირიდან

დრო და...

ცას თვალი მიტომ აქვს სველი.  
სიცოცხლის არა,  
სიკვდილის წინაშე,  
რომ უმწეოა სამყარო მთელი.

2003



\* \* \*

სოფლად ურმის ჭრიალთან,  
მწუხარს შემოყვა სიმღერა:  
„პარი, პარი, პარალე“.  
ნიავ-ქარი უგარცხის  
წვიმას  
გაშლილ დალალებს.

1998



\* \* \*

საიდანდაც რომ გვეალერსება,  
ალბათ არყოფნის ცივი  
ქარია,  
რომელიც ხშირად გვიცვლის ბუნებას.  
ო, რა ტკბილია,  
და რა მწარეა –  
ეს ორი სიტყვა: დაბადება  
და აღსრულება.

1999



\* \* \*

ოთარაანთ ქვრივს რომ სარჩო  
წაართვეს,  
აი, სწორედ მათი ხმებია.  
სხვები კი არა,  
ის გზირებია,  
ხსოვნის ყორეს რომ ეფარებიან  
და დავიწყების ფანჯრებიდან  
იმზირებიან.

1980



## პროვეული

ცაში ამაღლდა, როგორც უფალი,  
ვინც სიყვარული  
უფლის იწამა,  
მიტომ მეც ცაში დავეხეტები.  
პროწეული კი ჩემთვის მიკრო  
დედამიწაა,  
შედედებული მოკვდავების სისხლის  
წვეთებით.

1977



\* \* \*

მოყვავილე ცის მინდორზე,  
წელში მოხრილს  
გხედავ მთვარეს,  
თითქოს ბაღში კრეფს იებსო.  
ღამე უქსოვს კვართს  
იესოს,  
ელვის ოქროს ყაისნალით.

1978



\* \* \*

შიშველი მუცლები მოუჩანთ ღორჯოებს  
და ჩურპატანებს,  
წყალი არ ჰყოფნით...  
იხრჩობიან უწყლოდ მურწები.  
გულგახეთქილი მიწა,  
ასჯერ ნაინფარქტალი  
წუხეს...  
სულთმობრძავი სქვია\* ტყე-ტყე  
მიიძურწება.

1964

---

\* დელეა ხორგაში (ხობის რ-ნი)



## ზშაპ-ხევსურეთში

ჭართალს,  
უალეთს,  
ფხოვს და კვარას.

დევთა და ავსულთა ტვინი კლდეს  
მიასხა-რა:

ბაცალიგომ<sup>1</sup>,  
აინანამ<sup>2</sup>,  
კოპალებ<sup>3</sup> და იახსარმა.<sup>3</sup>

1966

---

<sup>1,2,3,4</sup> ფშავ-ხევსურეთში გაბატონებული წარმართული  
დემოკრატიული მთავრობის დამარცხებული დემოკრატიული  
დემოკრატიული დემოკრატიული დემოკრატიული დემოკრატიული



\* \* \*

(ვარიანტი)

ზღვის ბინადარნი,  
მოსული არსაიდან,  
ქარიშხლის სუნთქვას რომ  
აიყოლიებენ  
და გზას მიჰყვებიან წარსულში  
გაფრენილს.  
და რომ დაფარფატობენ ზღვას  
თოლიები –  
ხსოვნაა ზღვაში დაღუპული  
წინაპრების.

1972



### ბენესარეთის ჭავასთან

ცის და დამის მეუფე –  
მთვარე მიემგზავრება –  
ვარსკვლავების კარეტით.  
ვერცხლის სხივთა მთოვარი.  
და მე აღთქმულ მიწაზე  
ვდგავარ,  
ვით მაცხოვარი,  
ტბასთან გენესარეთის.

1983



\* \* \*

ბრწყინავს მთიები –  
ცის ეპრანიდან,  
დგას სვეტი მოხრილ მთვარის  
ანტენის.  
სხვა მზე ანათებს  
და ქრის სხვა ქარი.  
არყოფნის ქვიშის დგას კორიანტელი  
და ეს ცხოვრება უდაბნოა  
ცხელი საჰარის.

1988



\* \* \*

ქვეყნად ყოფნას,  
არყოფნა,  
ჯანდაბაში ისტუმრებს  
და სამყარო საგსეა შიშითა და  
ურვებით  
დღით და დამით დახუნძლულ,  
გაუსაპნავ ცის ურემს,  
მზე და მოვარე შეუბამს  
ელვის აპეურებით.

1979



\* \* \*

କମୋ,

ରାଗମର ଉଦ୍‌ଦେଖାତ ତେତରହିନ୍ଦୀଙ୍କ  
ମତେବୁ ଦାନୀ.

ଜନଲ୍ଲକ୍ଷେତ୍ରେ ଦୟାଦର୍ଶକ ଅଧିକାନ

ମନ୍ତ୍ରୀ ଏବଂ

ସାମ୍ରାଜ୍ୟକାନୀ.

ଏବଂ କମା କେମିକେ ଫିନିଶିଲ୍ଲିକ୍ସ,

ହାନ୍ଦିକ୍ସା ଏବଂ ଜାନ୍ମିକ୍ସ.

1980



\* \* \*

ეხეტებიან დემონები შავი ღრუბლების  
ცაში, და ნათელს  
ბნელით ფარავენ  
მაინც ყვავილობს მთვარის თეთრი  
იასამანი  
და... უფლის გარდა იცის არავინ,  
ყოფნა-არყოფნის  
სად ძევს სამანი.

1986



\* \* \*

(გარიანტი)

ქვესკნელიდან –

ზესკნელამდე,

გზა უსასრულო და

ულევია.

ცა – სასაფლაოა,

და მოციმციმე ვარსკვლავები –

ჩვენი წინაპრების სულებია.

1975



\* \* \*

შენი მხერვალე ლოცვა,  
უფალთან კვლავ აღის ცად,  
ამიტომ წუთისოფლად  
მოგიწევს  
მარადისად,  
სიკვდილის მერე ყოფნა.

2003



## საშპუნეა ოცდაცამეტი

სინამდვილეა და არაფერს აღარ  
ვამეტებ,  
საუკუნეა ოცდაცამეტი,  
რომ კოლხთა წარსულს ჩაფრენია  
დამე კლანჭებით...  
საუკუნეა ოცდაცამეტი,  
რომ მედეას გლოვობს შავი ზღვა,  
შავებს იცვამს  
და იტანჯება.

1963




\* \* \*

ხელში ალუჩის თეთრი ტოტებით  
თეთრჩოხიანი მოდის  
აპრილი.

მოვარე ჩაცქერის პირდაღებულ  
ღამის უფსკრულებს.  
ზღვა ხახას აჩენს გველეშაპივით,  
ცა ვარსკვლავებმა ჩაალუსკუმეს.

1971



\* \* \*

ღამეულ გზებით შორს რომ მიდიან –  
ისიდაა ან იაღოვაა...  
კუზი კი არა ცოდვა კიდია  
და ის ბოროტი კაცის სულია –  
ლოკოკინად რომ ხეზე  
მიღოღავს.

1994



\* \* \*

ელვა, ვით ბონაპარტე,  
თავს კვლავ აფარებს სადღაც,  
მღვრიე ღრუბლების კუნძულს.

ცა – ვი

ამორბალს მოჰვავს,  
მთვარის მოჭრილი ძუძუთ.

1958



\* \* \*

ଜାର୍ଯ୍ୟଦିନ ସିଥରିରେ ଫା ଲୁହା  
ମନାକୁଟ,  
ରାଗବିନୀ ଫାନାପିନି,  
ଲାଗୁପଲ୍ଲେଦି ଏଲ୍ଲାଙ୍କିରେ ରେଖାରେନି.  
ଧୂଲିଶି କରାଗି ସାନାପିନି  
ଭାଲୁଲାଦିନ ଅମନ୍ତରରେନିଲା.

1978



## მთრეზი

თითქოს მოფრინდა აქ,  
იმქვეყნიდან,  
აგერ,  
მტრედი რომ ზის და ღუღუნებს  
და დამშვიდებას ჩვენსას რომ  
ცდილობს,  
ო, არა შვილო!  
ქვეყნად ვერრარა ამოაგსებს  
დღეთა ჯურდმულებს.

1989



\* \* \*

ცის ვარცლზე დაყრილ ვარსკვლავთა  
ლერდილი,  
მთვარის დიდ საცერტი იცრება.  
ადამის ძეს კი მიწაზე  
დღეები სულს ისევ ართმევენ...  
და როგორც ბნელი და ნათელი,  
სიცოცხლე სიკვდილით იცვლება.

1998



\* \* \*

მოთქმა,

გოდება,

ბლაგილი და...

ესე ქვეყანა

სასაკლაოდ და ქცეულა ბოსლად.

რაა სიცოცხლე! –

მარტოოდენ წასვლა და

მოსვლა.

2004




\* \* \*

სასაფლაოსკენ თმაგაშლილი  
გამორბის ქარი  
და ეპეთება კივილით მუხლი.  
სამარეს ჭრიან და მიწა კვნესის.  
დგას თავდახრილი კუბოსთან  
მწუხრი  
და ჩუმად უსმენს ვარსკვლავთა მესას.\*

1972

---

\* მესა (ფრანგ.) – კათოლიკური დღისმასახურება, წირვა.



თეთრი ვარდი – ბრაალის თასი

ციდან –

მიწით ჩამოშლილი,  
მიღმა დამის შავი ფარდის,  
სამოთხისკენ გზა არი...  
და... გაშლილი თეთრი ვარდი,  
ვარდი არა,  
თასი არის გრაალის.

1976



## იალუს მინდვრები

გმირების და მგოსნების  
ლურჯი საფლავებია –  
ეს მთები და ბორცვები.  
და სამშობლოვ! საშველად,  
როდესაც მოგინდებით,  
წამსვე გაგვაცოცხლებენ  
ჩვენ „იალუს მინდვრები“.\*

1968

---

\* პირამიდების ტექსტის მიხედვით „იალუს მინდვრებზე“  
ცოცხლებოდნენ მკვდარი ფარაონები.



\* \* \*

ცისა და მიწის აიხდენს სურვილს,  
დიდი ხნის მერვ,  
მოსვლიდან ქრისტეს,  
შურით და მტრობით შეგუბებულ  
საუკუნეებს,  
კვლავ გადმოლახავს კოლხური სული,  
აღიმართება ლურჯ კოლოსად  
სამყაროს ცის ქვეშ.

1976



\* \* \*

ମଧ୍ୟକାରୀ ଆଜିବାନ୍ତିର ମହିନେରେ ମନୋମାନ,  
ଜୀବିତ ଅନୁଷ୍ଠାନିକରେ କାମିକ  
କମା ଆର୍ଥିକରେ ଆର ବେଳିକ,  
ମାନ୍ୟ ଯାଏବାକୁ କାମିକରେ  
ପ୍ରମାଣିତ କରିବା  
ଜଗତରେ କାମିକରେ.

1969



## როგორც პოეტ-მითოლოგს

ათასწლეულების იქით,  
შენმა ოქროს „ფსალმუნებმა“  
იწვიმოს და  
ითვისტოს.  
და მზე დაგერას ლეგენდებმა,  
როგორც პოეტ-მითოლოგს.

1963



## ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଓ ଆନନ୍ଦିତି

ଫିଲ୍ମର ମାମାମ –  
ଶେଷିଲ୍ଲାମା,  
ଅରୀଗ୍ରେ ହେ, ଶ୍ରୀପଦାଗ୍ରେବୋସ-  
ଟେଟ୍‌ରୀସ ହେ ଗାନ୍ଧୀଜୀର୍ଭା,  
ରାମ ଶାରୀ ଗ୍ରେଟ ଗାନ୍ଧୀର୍ଭା.  
ଗ୍ରେଟ ଶ୍ରୀପଦାଗ୍ରେବୋସ ଏକାନ୍ତିର୍ମାତ୍ରମା.  
ଗ୍ରେଟ ଶମରିମ୍ବେଶ୍‌ମା ଏକାନ୍ତିର୍ମା.

1994



## შენი ღიმილი

შენს ღიმილში ღვთაებრივი  
ცეცხლი ღვივის  
და სიცოცხლის ბადეს გიქსოვს,  
და არა პგავს „ფრესკის ღიმილს“<sup>1</sup>  
„სფინქსის ღიმილს“,<sup>2</sup>  
და არც „ღიმილს დიონისოს“<sup>3</sup>

1971

---

<sup>1</sup> „ფრესკის ღიმილი“ – (ლ. გუდიაშვილი)

<sup>2</sup> „სფინქსის ღიმილი“ – (ლ. ალფენიძე)

<sup>3</sup> „დიონისოს ღიმილი“ – (პ. გამსახურდია)



\* \* \*

ଯଦ୍ବା ମିଛାରେ ତଥାଲ୍ଲି ହାୟକରାଗ୍ରେ  
ଏବଂ ଶରୀରିଧାନ ମତବାର୍ଜେ ମରଙ୍ଗାଗ୍ରେ  
ଖେଳିବାରେ ଦାରୁର୍ମୁଲ ଅଭିଷାରେ,  
ବାରେ – ମନାତି ଆର ଦାରୁକଲାଦେବତା,  
ଦୁଇଲ୍ଲି ଦାରୁଦୀ ଦା  
ଯଦ୍ବାରେ କ୍ଷେତ୍ରା.

1989



## მზე კოლხეთში აღმოჩნდა

მილიარდი წლის წინათ,  
მზე კოლხეთში აღმოხდა –  
მოსვლად კაცობრიობის.  
იგი იყო სამყაროს რწმენაცა და  
იმედიც.  
დედა გახლდათ კიბელე<sup>1</sup> –  
კოლხეთის და ქიმეთის.<sup>2</sup>

1977

<sup>1</sup> რეა კიბელე – კაცობრიობის პირველი დედა.

<sup>2</sup> ქიმეთი – ეგვიპტის უძველესი სახელწოდება.

\* \* \*

დარდით გადახურული –  
ხალხთან დადგი კარავი.  
„პოლხური ფსალმუნები“ –  
ათასწლეულს ჩაუვლის –  
როგორც მზის და სიცოცხლის  
დიდი დღესასწაული.


2001



\* \* \*

ქარიშხლით მთვრალი და გალეშილი  
ზღვა,  
დედამიწას მიყუდებია.  
მთები – მოჭრილი თავებია  
ბაჟბაჟ დევების,  
მდინარეები – ზღვის კუდებია.

1962



## პუნები

ცა და მიწა ერთიან –  
გადათელეს პუნებმა,  
მაგრამ მაინც მინდვრები  
მკერდზე ვარდებს იბნევენ.  
და სიცოცხლეს სიპვდილით  
ვერ უცვალეს ბუნება.  
ვერ უქციეს სამყაროს  
მზის სინათლე –  
სიბნელედ.

1991



## შუღევთან

მომელანდება რამზეს მეორე\*

და სპა ურიცხვი ზღვისებრ

თავხედი.

აქ, გარდასულთა ქრიან ქარები.

როცა მდელვარე პონტოს გავხედავ,

ფიქრი კოლხეთის წარსულისკენ

გამეპარება.

1963

---

\* რამზეს მეორე – ეგვიპტის ფარაონი (ძვ.წ.აღ.XIVს.)



\* \* \*

(ვარიანტი)

სამშობლო მზეა ამომავალი  
და მის გულისთქმას  
კვლავ უსმინე,  
როგორც უსმენდი.  
კაცის ცხოვრება გაუვალი ტყეა —  
უსურის.  
შენ, ვარსკვლავების ოქროს  
ლურსმნებით  
საქართველოს ცას  
ხარ მიღურსმული.

1966



## ჯგუბე

ჩემს გატანჯულ ლამაზ მამულს,  
ვით წირსფალმა,  
მოწყალების  
თვალით გადმოხედოს ეგებ.  
და განგმიროს გველეშაპი –  
კოლხ დმერთკაცმა წმინდა ჯგუბე.\*

1969

---

\* ჯგუბე (მეგრ.) – წმინდა გიორგი.



\* \* \*

ମନ୍ତ୍ର, ରାତ୍ରା ମିଥ୍ୟକେର୍ବ ମିହଫାର୍ଗବା,  
ଫିଲାଫିଲ ଶେରକାଙ୍କ ଖେତିର  
କାମାରାବ,  
କାମକୁଣ୍ଡଳିଯାଳୀ ମନାତରା ମଧ୍ୟକୁଣ୍ଡଳୀ,  
ରାତ୍ରା କାଜୁଗଲୀ ରାତ୍ରା ସାମାରା,  
ଶିଶି ଦାଲାଗିଯିତ ଅଗ୍ରଦେବନ୍ଦେବ  
ରା ଶର୍କର ନିରାକାରକାଳୀର ଗାନ୍ଧାରାମାଲୀରେ.

2004



\* \* \*

არ დაუდვია თავი ბალიშზე  
ღამეს და ოოგორც ჭლექიანი  
სულ ახველებდა,  
(არავინ ჩანდა მთვარის მნახველი)  
სისხამ დილით კი ცამ  
ფერმიხდილმა,  
მზე, ვითარც სისხლი ამოახველა.

1957



\* \* \*

პონტოს ზვირთთა გრაგნილებზე –  
 მოციმციმე ვარსკვლავებით  
 დაწერილი,  
 კოლხეთია ჩემი მზე და ევანგელი,<sup>\*</sup>  
 რომელიც სხვა დანარჩენთა  
 სასწორს ხრიდა.  
 თუმც ცნობადის მწვანე ხიდან,  
 ისევ უხმობს ევას გველი.

1970

---

\* ევანგელი (ბერძ.) – სახარება.



\* \* \*

შეგვიძლები ამირანს და...

სხვა კოლხ ტიტანებს,

თუ ვარსკვლავები

ძირს ჩამორებე

და დედამიწა მაღლა –

ცაში თუ აიტანე.

2006



\* \* \*

ქამი, როგორც ცხვრის ფარას,  
სინათლის და მზის იქით,  
ისევ ისე მიგვდენის,  
რადგან წელი ათასი,  
ისეა მის თვალებში,  
როგორც დღე –  
გუმინდელი.

2001



## მთკვარი და რიონი

რომ დგანან ლიხს აქეთ და  
ლიხს იქიო,  
ეს მთები – ჩემი წინაპრებია.  
უფლის ციხეში მეუფობს  
უფლოსი.

მტკვარი და რიონი –  
ჩემი დამტირებელი დებია,  
შაგი ზღვა რომ ბორგავს –  
ძმა გახლავთ უფროსი.

1979



## ოპო, ოპო!

ეამს ცისკრისას ცა ქართული –  
დაიხურავს მთვარის ბოხოხს,  
ჩამოხედავს მიწას რიხით.  
და ქვეყანა მშვენიერი –  
ლიხს აქეთ და  
იქეთ ლიხის,  
შენზე იტყვის: ოპო!  
ოპო!

2008



\* \* \*

მიწა ლუსკუმია და,  
ბნელი არის მისი ცა,  
აღარ უცემს მზის გული.  
სხვისთვის ავის მოსურნე,  
შობს შურსა და  
სიძულვილს,  
ბოროტებით ორსული.

1985



100 000

ასი ათასი წელია უკვე,  
ჩემს კოდნეთში –  
ხმა რომ მოისმის  
დაფის და ბუკის,  
ჩანგის და ქნარის.

(ხანდისხან შხამიანი ისრები იწივლებენ.)

ასი ათასი წელია უკვე,  
თაგს რომ იკლავენ ებანები  
და წინწილები.

1986



\* \* \*

ცის ბინადართა მწყემსო კეთილო,  
ადამის ძეთა სირეგვენისთვის  
შენ ხარ ჯვარცმული  
და ნუ შეგაპრობს ჩემეული  
თვალთა სისველე.  
ლოცვით დაღლილი და დაქანცული,  
უფალო,  
მე შენს  
ჩრდილქვეშ ვისვენებ.

1993



## შოლისტიმს და რახაპის

უკვდავებას დახარბდა  
და ხმა აღარ ჩაესმის  
ეფურატის და ნილოსის:  
ფილისტიმს<sup>1</sup> და რახაბის,<sup>2</sup>  
ბაბილონს<sup>3</sup> და  
ტგიროსის.<sup>4</sup>

1968

---

<sup>1234</sup> პრეიისტორიული ქალაქები.



\* \* \*

ვარსკვლავებიანი ცა –

გახურავს, ვით ტიარა,

და „კოლხური ფსალმური“

მიტომაა ასტომობს.

და გეძახის ზესკნელი,

მარტო პოეტს კი არა,

ასტროლოგს და ასტრონომს.

1990



\* \* \*

ନେତାର ମୁକ୍ତିଲୋ ଜୟେଠ ଆଶ୍ରମିତା  
ରେ ଫ୍ରାଣ୍ଟିଚ ଜୟେଠ ଗାନ୍ଧିମହିଲାର  
ଲାଭକାରୀଙ୍କ ସାମନ୍ଦାନ.  
ଗାନ୍ଧିମହିଲାର ଲାଭକାରୀ ମହିମାମନ୍ଦିରା  
ଏହିର କାମକାରୀଙ୍କ ଗାନ୍ଧିତା ରେ  
ବିଜ୍ଞାନ ପାଦାଳୀରଙ୍ଗ ପାଦାଳୀରଙ୍ଗ  
ରେ ତାଙ୍କ ପାଦାଳୀରଙ୍ଗ ପାଦାଳୀରଙ୍ଗ ପାଦାଳୀରଙ୍ଗ.

1985



\* \* \*

მზე კვლავ მზეობს,  
არ ჩასულა,  
სხივებს ფანტაგს ბარჩხალიას,  
შორით მთების ჩანს მწვერვალი  
ზღვას ფრინველნი  
დაჩხავიან,  
თითქოს იყოს ნაწვერვალი.

1986



\* \* \*

ჩემი ცხოვრების საჯინიბოში

ბევრი დილა და

საღამო ება.

არყოფნას, ყოფნით დიდხანს ვეომე,

მაგრამ ვერაგზით,

ვერ დავთრგუნე

ამაოება,

ვერ გადავლახე ვერც სტიქსე<sup>1</sup> და

ვერცა ჯეონი.<sup>2</sup>

2007

---

<sup>1 2</sup> ჯოჯოხეთის მდინარეები.



## მთები და პილიკები

მთები –

ციდან მოსულები,  
ისევ უკან ბრუნდებიან,  
რადგან მიწა მოირთველეს.

ახლა მაღლა ადიან და  
რომ მისორევენ,

ბილიკები –

მათი გრძელი კუდებია.

1978



## ପଶୁରାଜମାନ

ମହାକାଳିର ପଶୁରାଜମାନ ମହାରାଜା ଶ୍ରୀମତୀ ଗୋକୁଳାବ୍ଦୀ,  
ବ୍ୟାଧିର ପାଦରେ କାନ୍ତିର ପାଦରେ

କାଳାବ୍ଦୀ

ଫ୍ରିଜରାଜମାନ

ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ

ପଦରେ ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ

ପଦରେ ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ

ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ ଏହା ପଦରେ

1973



\* \* \*

გადაშლილია კიდიოთ-კიდემდე

ცა – ვარსკვლავების

სათეს-სახნავი.

არ დაჭიხვინებს ქარი – კენტავრი,

გატრუნულია და წამწამებს

არ ახამხამებს,

ვის უსმენს ეს ზღვა ახლა,

ნეტავი?!

1979



\* \* \*

ახლახან რომ თეთრი ეცვა,  
შავს ჩაიცვამს უცებ ზეცა,  
იწვიმებს და ითოვებს,  
რადგან სევდა ვეღარ ზიდა.  
მერე ქარი,  
ვით თოლიებს,  
ამოაფრენს ტალღებს ზღვიდან.

1995



\* \* \*

„შუმერი და ქალდეა –  
ერთი და იგივე ქვეყნაა.  
„ძველი აღთქმა“

ათასწლეულების მერეც,  
ეს მოები შუმერთა,  
შორიდან იცნობა.  
კიდიდან-კიდემდე გაშლილი –  
ფართე ველებია.  
და ვარსკვლავებზე რომ მისნობენ,  
სხვანი კი არა,  
ქალდეველებია.\*

1971

---

\* ქალდები – მეგრულ-ლაზურ-ჭანური შტოს უძველესი  
სახელწოდება.

P.S. ქალდე – წარმართული პანთეონის მთვარის  
დავთაქმა.

\* \* \*

თოვლის ქათქათა სარეცელზე –

წამოწოდილან მთები –

ორსული

და თავს ევლებიან ენგური და

ჩხოუშია.

მთვარე მდინარეში ჩამოსულა,

ლამეს ვარსკვლავების

ჭაღარა მოუშვია.

1989



\* \* \*

შავითმოსილი,  
ცეცხლის თვალება,  
ცად აკსულები დახარხარებენ,  
ჩამოაქვს შიში  
შორეული სხივების ციალს –  
სანაპიროზე გიჟი ქარები,  
მღვრიე ტალღებს და  
ცხელ ქვიშას ცრიან.

1979



## სემი და ქამი

გაშლილია ცის მინდორი  
და სურნელი ჰყვავის  
იის,  
სიმყუდროვე სუფევს დამის.  
მივუყვები გზას ბიბლიის,  
არც სემი<sup>1</sup> ჩანს  
და არც ქამი.<sup>2</sup>

1979

---

<sup>12</sup> სემი, ქამი – ბიბლიური ნოეს შვილები.



## პილიგები

უგზოუკვლოდ რომ სადღაც გარბიან,  
ეს ბილიკები –  
წარსულ დღეთა გზის  
გზირებია.

მაღალ კლდეებზე მდგარ ციხეთა  
სათოფურიდან,  
ბრძოლებით დადლილ მეციხოვნეთა  
სულები ისეგ იმზირებიან.



## ଖରମା ଲାଲ

ମହେମା ଲାଲଜୀଲୋ ଶୁଭେଳ ଫାନ୍ଦେରତିଥା  
ଲା ଗଲ୍ପିଲେ ତମଙ୍ଗିରେ  
ଶୁଭେଳ ଗାନ୍ଧିନା.  
ମତଗାର୍ଜେମ ମତିଜେବିତ ମନ୍ତ୍ରିତିଲୋ  
ହାତିଲା କାହା.  
ଯିଦାନ ମନ୍ତ୍ରିଲ ଖରମା,  
ବିଶେଷ ପାଶି ଶୁଣିଦା ଆଫରିନା,  
ମାଗରାମ ମିଠା ଏହିକା ଦାବିଲା.

1964



\* \* \*

ერთხელ იქნება,  
სიყვარულით ისე დავთვრები,  
რომ ვაწყევლინო სიკვდილს  
თავბედი.  
და ავურიო ისე დავთრები,  
რომ ჩემი ნახვა,  
არასოდეს აღარ  
გაბედოს.

1996



\* \* \*

შურითაღვსილნი ბევრი ეცადნენ,  
მაგრამ სახელი,  
შენი მაინც  
ვეღარ შებდალეს,  
რადგან გიფარავს ფრთები ეარის.  
აღარ არსებობს შენთვის  
დღე-დამე,  
რადგანაც დამე შენთვის დღე არი.

2003



## პონტოს ტალღები

ელვის ბილიკებს მიუყვებიან  
და სივრცეების კარებს  
აღებენ,  
ხელში უჭირავთ წარსულ დღეთა  
დროშის ტარები.  
მიდი-მოდიან  
მღელვარ ზღვებში პონტოს ტალღები  
და მედეაზე მწარე ნადგელს  
დაატარებენ...

1970



\* \* \*

სამარეს თხრიან,  
ანგელოზმა რომ დაიძინოს,  
აღარ შორდება ლანდი –  
მაცილის.  
ლოდი გდია ხის ძველთაძველი  
სავარცხელივით.  
კბილდაკრეჭილი თავის ქალა  
სიკვდილს დასცინის,  
მაგრამ სიკვდილს კი,  
არაფრის და არგის  
რცხვენია.

2001



\* \* \*

ცას და მიწას –

შეყვარებულ პირველ

ცოლ-ქმარს,

მერე გაყრილთ...

ახლა მიწას, ავხორცისა და

სატირიანს –

დამდამობით, ცაში ობლად დარჩენილი,

გარსკვლავები –

ცხარე ცრემლით დასტირიან.

1979



## ეგვიპტის ცხელი უდაპოვის

ჟამს მიმწუხრისას,  
მზე როდესაც ჩაესვენება,  
უკიდებანოდ გაშლილ სივრცეებს,  
როცა ოქარუნი შეძრავს ცხენების.  
ეგვიპტის ცხელი  
უდაბნოები,  
კოლხ მამელუკებს გაიხსენებენ.


1969



## ჰავი

მიწის კი არა,  
ცის სიმყუდროვე,  
დაფარულია ოქრონარევ  
ვარსკვლავთა ქვიშით.  
მწუხარე სახით მდელვარე ზღვას  
გასცერის პაპი,  
და დაუნდობი ქარიშხლის შიშით,  
ებდაუჭება ციცქნა ტალღა  
უგულო ნაპირს.

1973



## ლაზებსა და მარგელებს

კოლხი მეზღვაურები –  
ქართა ძახილს ელოდნენ,  
აფრა გაშლილ ნავებთან.  
ჩანდა შიშის დამრგველი –  
პონტო უნანავებდა  
ლაზებსა და  
მარგველებს.

1969



## პრანანისის ველი

(ვარიანტი)

აპა,

სამასი წელი გავიდა,

რაც აქ —

გმირთ-გმირი არაგველების  
თავგანწირული ხმალთკვეთების ხმები  
გაისმის.

და იმათ დაღვრილ სპეტაკ სისხლიდან  
ამონთებული ყაყაჩოების

ალში რომ იწვის

ველი კრწანისის.

1959



## ანაკონდა

ახლა კოლხთა წარსულს აწვიმს,  
მაგრამ ადრე საწუხარი  
არ ჰქონია,  
ან რა ჰქონდა,  
რადგან ხეზე ოქროს საწმისს –  
დარაჯობდა  
ანაკონდა.\*

1968

---

\* ანაკონდა – ურჩხული, გველი.



## 800 იაღოვა

მზე თითქოს აქვე –  
მიწაში ჩადის,  
წუხილი სანთლებს  
ნისლად ებურვის.  
ვიდაც ლოცულობს, ვით იაღოვა.  
პატარა მატლი –  
ალბათ სული მიცვალებულის –  
ძველი საფლაგის ლოდზე მიღოდავს.



\* \* \*

დამის იქიდან თუ არყოფნიდან –  
დღეები ყორნის ფრთებით  
მოფრენენ...  
ირგვლივ მთებია და უფსკრულები  
რა არის ყოფნა,  
წუთისოფელი?!  
– ზღვის მიქცევა და მოქცევაა  
დაუსრულები.

1986



\* \* \*

ზეცისკენ მიაქვს ლოცვები  
უფლის ტაძარში სიონის –  
დანთებულ სანთელ-საკმელს.  
და მესმის გალაკტიონის  
„ – ლაპმე,  
სადა ხარ, ლაპმე!“

1960



\* \* \*

ცალი თვალი კი ცისკენ უჭირავთ  
მთებს კუზიანებს და  
ამაზრზენებს,  
თუმც არას თხოვენ,  
არც ავალებენ.  
ვარსკვლავები კი მიწას დამზერენ  
განთიადამდე –  
შუშის თვალებით.

1962



## შესაწირი

სიყრმეცა და სიჭარმაგეც  
გავატანე ფრთებს არწივის.  
და ქართული ლექსის უფალს,  
მცირე,  
მაგრამ, ვით შემეძლო,  
მეც შეგწირე შესაწირი.

2005



\* \* \*

ვარსკვლავები კი ღამით,  
მიცვალებულთა სულებს –  
ამაღლებულთ და  
დიადო,  
უფლისკენ მავალ გზაზე –  
უსინათლებენ წყვდიადს.

1978



## შირაზში

ვითარც ადრე,  
ცოდვილ დედამიწაზე –  
მიჰქრის უამთა ბობოქარი  
მდინარე  
და დღეებიც გადადიან ყირაზე.  
წარსულიდან ხმა მოესმის  
მინარეთს:  
– წინანდლის გარდს,  
კერ ჯობია შირაზის.

1974



## ମନ୍ଦିରରେ ଓ ମଧ୍ୟମାର୍ଗରେ

ଥିଲୁଗିର ସାନାପିରାଠୀ ଫାମିଲିଆର  
ମଧ୍ୟମାର୍ଗରେ  
ଗାନ୍ଧିଜୀରେ ସିଙ୍ଗରୁପ୍ରେସରେ ଓ  
ତଥାଲ୍ଲେବ୍ରେ ଏଣ୍ଟର୍‌ପ୍ରେସରେ  
ଓ ମିଶରେଜ୍‌ରେ ଫାର୍ମଲାର୍‌ପ୍ରେସରେ ଫାମିଲିଆର  
ମନ୍ଦିରରେ କିମ୍ବା ଫାକ୍ଟରୀରେ,  
ଫିଲ୍ମିକାର୍ପା କାଲିପ୍ରେସର୍‌ରେ  
ଓ ଅଫାକ୍‌ପ୍ରେସର୍‌ରେ ଲାଇଭର୍‌ପ୍ରେସର୍‌ରେ  
ଫାମିଲିଆର୍‌ରେ.

1986



\* \* \*

ათასწლეულებში მითვლემილი  
ჩემი კოლხი წინაპრები  
გაგაღვიძე და  
აგყარე  
და მომავალში დავასახლე...  
და დავიფერფლე!  
თუ დარჩა ფერფლი –  
ისიც კოლხეთს გადააყარეთ.

2006



## დევოტთა ომი

დმერთთა შორის არის ომი  
და მოუღებს მალე ბოლოს  
უფალთ შორის უზენაესს –  
დიდ ურანოსს,  
შვილი კრონოს.  
მაგრამ მალე მოვა ის დღე,  
მას დაამხობს რისხვა  
ზევსის,  
სანამ გამოჩნდება ქრისტე.

1973



\* \* \*

(ვარიანტი)

არაფერია სადარდელი,  
მოკვდავნი ტყუილად მისტირის,  
დღეებს,  
შავ ფერს რომ წყევლიან.  
სიცოცხლე და სიკვდილი:  
წინ ცეცხლი,  
უკან მეწყერია.

2002



\* \* \*

ბევრჯერ,

არყოფნის გზით მიმავალი,

სიცოცხლისაკენ ისევ შევბრუნდი

და ამ ცხოვრების სკილას,

ქარიბდას

და ბნელ სამკუთხედს

შავი ბერმუდის,

შენმა,

ო, შენმა სიყვარულმა

მე ამარიდა.

2001



\* \* \*

სხვისი კი არა,

ბრძენკაც ნოეს შთამომავალნი,

ბევრნი არიან აქ კაენები,

ცოტაზე-ცოტა აბელები.

და ვარსკვლავების დამურები

ჰკიდია ცაზე:

— დიდი სინათლის ზღვას აბნელებენ.

1970



\* \* \*

მოლოდინში გაზაფხულის წვიმის,  
ქარებს რბენით  
გადაღლიათ მუხლი.  
აღარ წყალობო მაჰმადი და  
ბუდა.  
ცის ბუდეში –  
ჩუმად ჯდება მწუხრი,  
– გარსკვლავები გამოჩეკონ  
უნდა.

1978



\* \* \*

ელვა კი არა,  
ციდან გიდაც გველამაზება,  
ოუმც აღარ უჩანს სახე,  
არც პირი.  
ხსოვნის იქიდან ქრიან ქარები.  
ზღვის და სიცოცხლის  
არ ჩანს ნაპირი  
და ღელვა ღამის ტოტს ეფარება.

1986



\* \* \*

შოთორ წარსულიდან მოგეხმოდა  
ხმა წინაპართა  
და გზას მისდევდი გეშით მეძებრის,  
თუმც ირეოდა ჟამთა მორევი.  
ცის უდაბნოში სამშობლოს და  
შენს თავს ეძებდი,  
ბოლოს იპოვე ერთად ორივე.

2003



\* \* \*

დამთავრებულა მიმწუხერის ლოცვა  
და ამბიონთან არაჩანს მნათე,  
ჩამავალი მზის სხივი  
მინანქრობს.

სულს კვლავ უბერავს ანთებულ  
სანთელს

ქარი,

საყდარში, მაგრამ ვერ აქრობს.

1979



\* \* \*

„აიების“<sup>1</sup> ნაშიერნი,  
 არვის ენახა სირცხვილ  
 ნაჭამი,  
 გრგვინგა გაჟქონდათ ქასქებს,<sup>2</sup>  
 აქადებს,<sup>3</sup>  
 ახლა არ ისმის მათი ჭაჭანი,  
 საით წავიდნენ,  
 საით განქარდნენ?!“

1973

---

<sup>1</sup> აია – ქვეყანა, ხალხი.

<sup>23</sup> ქასქები, აქადები – კოლხების (ქართველების) შოორუელი წინაპრები.



## ზპირთები

ალბათ კოლხეთის წარსულიდან  
მოისწრაფიან –  
ზვირთები, ერთურთს სდევენ მუქარით.  
და ზღვა ნაპირთან  
გადადის ყირას.  
არ ჩანს ორფეოს,  
ცა აკვნესებს მთვარის  
თეთრ ლირას.



## ისებ პავლასიონი

(ვარიანტი)

ცაში ბინადარს –

ვარსკვლავები დვიძლს უკორტნიდა,

შავი ღრუბლების ყვავ-

ყორნებთან

დიდხანს იომა,

სანამ მიმწუხრის მზემ არ დანისლა.

თოვლის გვირგვინით დაზვინული

კავკასიონი –

საფლავი არის ამირანისა.

1961



\* \* \*

ძვალი და ტყავი,  
მუდამ მშიერი,  
სულ გზაზე მყოფი,  
სულ მოუცლელი,  
ეს სიკვდილია – სიცოცხლეს რომ წინ  
მიუძღვება,  
რადგან პირშავი მიწის მუცელი,  
ყოფილა თურმე ასე უძღები.


2005



## 300 იანვი

ჩემი კოლხეთი იყო ქვეყანა  
მზით მდიდარი და  
„ოქრო მრავალი“,  
მომპარეს მისი ისტორია!!!  
არ აქვთ ნამუსი.  
ვიცი წარსული...  
მწამს მომავალი...  
ორიგე მხარეს გიყურები,  
ვით იანუსი.

1998



## ალბათ სააგაძე

გორგასალის ნაშიერი  
მტერს,  
წარსულში ვერეპები,  
თუმცა იგი ასჯერ მეტობს.  
ბოწკლებს ილესენ  
მგლის ლეპები,  
სამარტყოფოდ,  
საალგეთოდ.

1989



\* \* \*

დღემ ჩაასვენა მზე ზღვის

კუბოში

და სადღაც ქვეყნის დასალიერთან

ქარები მორჩნენ

სხივთა აკონვას.

და წყვდიადიდან უცებ იელვა,

თითქოს გამოჰყო ენა

დრაკონმა.

1973



## პროვენლის ხე ციხის გაღავანხე

ომების გზებით იარა და,  
მომხდურს ათასჯერ კვეთებია.  
ეს ბროწეული კი არადა,  
აქ დაცემული მეციხოვნის  
სისხლის შედედებული  
წვეთებია.

1989



## თსევ ილოსი

დრო და უამის ძილ-ღვიძილში,  
მომავალი თვალებს ახელს:  
ღვთის ტაძარში არ ჩანს  
ილოსს!\*

მითიური მისი სახე –  
ეზმანება ცამდე აწვდილ  
სვეტებს შავი მარმარილოს.

1973

---

\* ილოსი – მედვეას და იაზონის შვილიშვილი. ილიონის (იგივე ტროას) დამაარსებელი



## მთვარეს აითაიგულებს

მწერისას მზის ბილიკებით –  
დღე წავა და  
ლამე როცა,  
ზეცას მისად დაიგულებს:  
აიგუნდებს ვარსკვლავებს და  
მოვარეს –  
აითაიგულებს.

1964



\* \* \*

ბაბილონი,  
ურარტუ,  
მიდია თუ ხეთია,  
მაშინ, ასი ათასი –  
წლის წინ, ვით ჩვენ უმზერდნენ,  
ცაში მნათთა ხეტიალს.

1963



ა. გ. გ.

მთვარე –

აიეტის სასახლე

უსამანო ცა –

ჩემს უძველეს კოლხეთს  
მაგონებს,

რომელსაც შური გაჩენიდან  
სდევდა ფარული.

ახლა მის თვალში –

იდუმალი შიში ცახცახებს,  
რადგან იქ რომ დგას  
გარსკვლავებით შემოსარული,  
მთვარე კი არა,  
აიეტის არის სასახლე.

1963



\* \* \*

ასეა ახლაც,  
ზვირთებს გრიგალი,  
ვით ურა კვიცებს ისე ხედნის,  
როგორც ხედნიდა  
და თავს იკლავენ ზღვაში ქარები.  
სადამოები ამოდიან  
ჯოჯოხეთიდან  
და მზეს დილისკენ მიაქანებენ...

1977



\* \* \*

გაჩენის დღიდან ჩამესმოდა  
მწვანე შრიალი,  
დღი წარსულის ვრცელ მინდორთა,  
სულ მოყვავილის მზით და  
კენახით.  
ო, როგორ მსურდა,  
როგორ მინდოდა,  
აიების კოლხეთი რომ ცხადად  
მენახა.

1964



\* \* \*

ქუხილის ხმაზე,  
როს მზემ დასავლეთს,  
თავი ჩაჰკიდა მომაკვდავივით,  
ღრუბლებმა მთიებს ჭკუა  
ასწავლეს,  
მთვარეც ჩააგდეს ზღვაში ნავივით.  
ასეთ დროს დელვა რას მოასწავებს,  
ანდა ქარიშხლის  
შავი ბლავილი?!

1979



\* \* \*

უფლისაგან ნაბოძები,  
სანამდის ერთად ბუდობს  
ჩემში სული და ხორცი,  
მაცხოვარს ვუნთებ –  
სანთეჭს,  
ვცოცხლობ უფალზე ლოცვით.

1987



\* \* \*

ქარის კალთით მოტანილი —  
ზღვად იღვრება  
ნისლის ლილა,  
მზე მისი მოამაგეა.  
და ახურავს ცა —  
მანდილად  
მიწა,  
ამ ჩვენს მშობელ გეას.\*

1972

---

\* გეა — მიწის ქალღვთაება.



\* \* \*

წყალიც ძილად იურვის...

კოლხი ორფეოსი კი

კარს მუსიკის —

მიხურავს და მოხურავს

და ატირებს ვარსკვლავებს

ღამლამობით კოლხურად.

1974



\* \* \*

სიმყუდროვიდან მზის ნაბიჯები  
და ელვის დაწერილი აკორდი,  
შორიდან მოისმის  
„ლილესავით“.  
ობოლი მთვარის დასაკორტნად –  
ვარსკვლავები ნისკარტებს  
ილესავენ.

1962



\* \* \*

ასე ყოვილა,  
ასე მოდის,  
შენც ვითარც მამას,  
წუთისოფელი მოგიწამლა  
შერმა და  
შხამმა.

2006



## ათონები

ათონის ლურჯ მონასტერში –  
ათენებდნენ დამეს  
თეთრად,  
რომ ცოდნოდათ აწინდელებს,  
საქართველო ჰყავდათ დმერთად:  
იოანე და ექვთიმე  
და გიორგი  
მთაწმინდელებს.

2001



\* \* \*

მიწაზე არა,

ცაში ვარსკვლავებს

უკვირთ:

მმვინვარე ქარიშხლებისთვის

რაც გიომია და გაგიძლიათ

იმიტომ რომ, ხარ მზის

ნაშიერი,

მოხუცი მთვარეც შენი ღვიძლია.

1989



## პიპარისები

არ ვხედავთ,  
მაგრამ იგი აქ არის,  
ვინაც სოფელი დამწუხერა  
და ააოხრა.  
და... სასაფლაო დარდითა და  
ცრემლით ივსება.  
მიცვალებულთა სულის  
საოხად –  
სანოლად ანთია მწვანე შუქი  
კიპარისების.

1987



## მისომა ახლო მისმელ ღმერთან

მოები გესაფეხურა და,  
მიტომ ახლო მიხველ  
ღმერთან  
და ხატებიც გფარველობდა  
წმინდა ჯგებეს და  
ლაშარის.  
სახელმა კი შენმა,  
გაჟა!  
ალბატროსის ფრთა გაშალა –  
გაციერდა,  
გალაქვარდდა.

1976



\* \* \*

რქებზე მზე დანთებულები,  
დღეები ნახირივით რომ  
მიბლავიან,  
არავინ იცის თუ ვისია!  
სიცოცხლე – თურმე  
ღიმდამია,  
ცხოვრება – განთიადის ნისლია.

2002



\* \* \*

ხალიბების<sup>1</sup> ქურაში,  
ვაწრთობდი ძველ სიმღერებს...  
და მე ბევრი ვერიდე:  
სიზმარეულ ქიმერებს<sup>2</sup>,  
მზიან ეფემერიდებს<sup>3</sup>.

1964

---

<sup>1</sup> ხალიბები – ძველი ქართველური ტომი.

<sup>2</sup> ქიმერა (ბერძ.) – ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული.

<sup>3</sup> ეფემერიდი (ბერძ.) – ერთდღიანი მწერი, (გადატანით, ხანმოკლე ეფემერული რამე)



ცა – ვარსკვლავების ძგიშის საათი

მოგარე წამითაც თვალს არ მოხუჭავს  
და ღია ცისქვეშ ღამეს  
გაათევს,

გამოენისას გარდაიცვლება.

ცა – ვარსკვლავების ქვიშის  
საათი,

მამლის ყივილზე ნელნელა და ჩუმად  
იცლება.

2004



## ხილვა: უტურიშვილი

კოლხეთში და დიაოხში –  
უტურიშვილი\* ლომებრ  
ებრძვის  
ურარტუს და კიმირიელთ:  
ზღვა ხომალდებს  
წყალში ძირავს,  
მტრებს ზედიზედ იგერიებს.

1967

---

\* უტურიშვილი – დიაოხის მევე (ჩვ.წ.აღ. IX-VIIIს.)



\* \* \*

უსამანო სივრცეებში –  
დაგიწყების ბილიკებით  
დრო მალულად მიაქანებს:  
გაქვავებულ მთვარის ცხედარს  
და მთიების –  
თავის ქალებს.

1973



\* \* \*

ბიბლიიდან ხმა იხმის გოდების:  
ან ისაკია,  
ანდა აბრაამი.  
ღამის ბილიკით მიმოდის შიში,  
ღრუბლებს შუა მოვარის  
გამოჩნდა ნიში  
და ვარსკვლავებმა ცა დააბრმავეს.

1972



## თიბილი–თაბული–ტიბარები

ან მარეს და აიეტის  
ბიბლიური ნაშიერნი –  
დიდ კოლხეთის პატრონები,  
ვით ეგრისელს მიბარებენ,  
რომ წიგნებში დაგასახლო:  
კოლხ<sup>1</sup>-კილხები<sup>2</sup>-მაკრონები,<sup>3</sup>  
თიბალ<sup>4</sup>-ტაბოლ<sup>5</sup>-ტიბარები.<sup>6</sup>

1961

---


123456 უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები.



\* \* \*

ხელო უჭირავს მთვარის წიგნი  
და იგი ევანგელობს –  
მის სულზე და  
მის მრწამსზე  
და მას ისე, ვით ანგელოზს  
ცალი ფეხი ზღვაში უდგას  
და მეორე მიწაზე.

1989



## დამშვიდება

მომესმის შენი ფრთების შრიალი,  
ჩემს სიახლოვეს ვიცი,  
არ იშლი  
და დიდ იმედად რადგან ციმციმებ, –  
თავს სიყვარულის მივდებ  
ბალიშზე,  
მშვიდად მივწვები და მივიძინებ.

2009



## ცა – გარსპოლავების არის საფლავი

გამოენისას მოვლენ ღრუბლები,  
გითარც მწუხარე  
ჭირისუფლები  
და როცა მთვარის კუბოს დაფლავენ,  
მაშინ შორს, სადღაც  
ელვა იკივლებს:  
ცა – ვარსკვლავების არის საფლავი.

2003



\* \* \*

ბევრმა მძვინვარე ათასწლეულმა,  
გგრისის ცაზე გადაიგრგვინა,  
მაგრამ მაინც ვერ გაატიალა.  
და აწ „კოლხური ფსალმუნები“,  
როგორც ტიარა,\*  
თავს დაედგმება ეგრისს გვირგვინად.

2009

---

\* ტიარა (ბერძნ.) – ძველ აღმოსავლეთში მეფეების და  
ქურუმების თავსაბურავი (როგორც ძალაუფლების  
სიმბოლო)



## აიეთი და იაზონი

გმირი იყო,  
მიტომ თავი,  
დიდ აიეტს მიაზომა.  
და წარსტაცა საწმისი და  
ბრძენი ქალი,  
კოლხ ხელმწიფეს იაზონმა.

1972



\* \* \*

შემკრთალი ელვა დახტის  
პვიცივით,  
ვერ ჰქოვა გზები და  
ასპარეზი!  
ხოლო ღრუბელმა –  
იმ „ხულიგანმა“,  
ცასა და მიწას  
ერთად უგანა  
და დაიწერა ჯვარი მთვარეზე.

1967



\* \* \*

მეხმა როდესაც გადაიგრგვინა,  
სივრცეებს ფერი ედო  
სატანის  
და ყოველივე ჰგავდა ზმანებას.  
ღრუბლებს –  
ზღვის ცაში სურდათ ატანა,  
მაგრამ გრიგალმა არ  
დაანება.

1976



\* \* \*

სიშორის იქით,  
 მიმწუხერიდან –  
     განთიადამდე,  
 მიმოყრილია ვარსკვლავების  
     ცად მუგზალი,  
 დილით კი მათგან რჩება ნაცარი.  
     ღამე მზის ოქროს –  
         დღეს პვლავ უგზავნის,  
 მთვარე კი ცაში არის,  
         არც არი.

1977



ჩარგალში პოპალას შვასთან

დამეა...

ვიღაც უფსკრულებს –

ყინჩად ჩახდახის: ამოდი!

ბაწარაულიც იალებს.

სივრცეებს შესძრავს ხმა ლოდის

და...

ბაქბაყ დევის ღრიალი.

1977



## ଲାଖାରୀ

ରା ଫଲେବ,  
ରା ବ୍ୟାଲ, ଗାରଦାଶ୍ୱଲତା,  
କ୍ଷେତ୍ରାକ୍ଷଳିତ୍ୱଲିସ କାର୍ଣ୍ଣ  
ଗାନ୍ଧେବ,  
ଅନ୍ଧବ୍ୟବା ଫା ହିନ୍ଦନାନ ମନ୍ଦା.  
ଫା ମିଲେତି ଆମାନ୍ଦିବେବ:  
ଆମମତାବର୍ଜୁଲିବ,  
ନୃତ୍ୟରେବ,  
ମର୍ଗବଲୋଗାନିବ.

1981



## სტრაბონი

(64 ძვ.წ. 24ძ.წ.)

მამით ნაღდი ბერძენი,  
სუფთა ჭანი მე დედით,  
გამბობ:  
ქალი ბრძენთბრძენი,  
მეუფობდა მედეა,  
დიდ ქვეყანას ქიმეთის.

1962



\* \* \*

წვიმა წვრილი და გრძელი თითებით  
უკრავს ცისარტყელას –  
ფერად სიმებიანს.  
ღვთის წინაშე კი ჩვენ ვართ მართლები,  
მიტომაა რომ ვარსკვლავები –  
სერაფიმები  
წყვდიად დამეს რომ გვისინათლებენ.

1961



\* \* \*

უფლის ხელით დაკეტილი,  
შენ გახსენი ჟამთა კლიტე,  
ისე როგორც არქიმედემ,  
პინდარემ და ჰერაკლიტემ.  
და მე მიკვირს: ამდენ  
ღელვას,  
წუხილს,  
სევდას და იმედებს,  
კაცის გული როგორ იტევს?!

1990



## აბრაშინა

აშ შორეული მგზავრობისათვის,  
უნდა გეჭიროს შენ თადარიგი,  
უფლის მხევალო,  
ო, აგრაფინა!  
იელვა?  
არა!

არსობამრიგემ,  
სულ წამიერად —  
თავისი შუქი გადმოგაფინა.

1998



\* \* \*

დღე-ნიადაგ მასზე მლოცველს,  
მაცხოვარი მუდამ თავის  
ახლო მთვლიდა.  
აი, ახლაც უფაროდ და უხმლოდ,  
მუხლმოყრილი უფალს ვუხმობ  
და მპასუხობს იგი თავის წმინდა  
მთიდან.

2009



## შურის ციხე

მტერი ქართლის სილამაზით,  
ახლაც ბოლმით სკდება  
გულზე,  
წარსულისკენ ჩუმად იხევს.  
და შორიდან შურით უმზერს:  
არმაზს,  
ჯვარს და  
„შურის ციხეებ“.

1972



## მზე და მთვარე

ჩანჩქერები კლდიდან ვარდებიან,  
მდინარეები მთებს ტირიან...  
ირგვლივ სიმრუშე და  
სიშავეა.  
ჩამავალი მზე – დღის სასრული და  
წერტილია,  
ნალექა მთვარე –  
ღამის სასვენი ნიშანია.

1972



\* \* \*

მარტი მიიპარება,  
ამინდია კაპრიზი,  
სახე მიღებას შენი.  
და ქარები ნაპირზე  
ტალღებს, ვით სველ ხალიჩებს,  
გასაშრობად ფენენ.

1978



## ებრისის მთები

ათასწლეულების იქით,  
პონტოს პირას –  
ცა ქოლხური,  
მთვარის მანდილს აფრიალებს.  
და ეგრისის თეთრი მთები,  
თითქოს ლაზოა გემებია –  
თეთრი ნისლის აფრიანი.

1967



\* \* \*

შენი ხმა ელვად უვლის სამყაროს,  
ვითარც უვლიდა  
და სტრიქონების თითებით,  
ამირანივით გამომყავს ცეცხლი,  
ციდან კი არა,  
ლერწმის გულიდან.

1962




## მე და შავი ზღვა

დასაბამიდან კოლხეთში ვსახლობთ,  
„ნენანასაგან“\* და მზისგან  
ვიშვით,  
მიტომ ერთი გვაქვს გულისფიცარი.  
და უპვდავების  
თან დაგვდევს შიში,  
მე და შავი ზღვა ვართ  
ტყუპისცალი.

1962

---

\* ნენანა – იგივე რეა კიბელე, ნაყოფიერების დვთაება.



\* \* \*

### რეზო ადამიას

ათასწლეულების მერეც,  
ცად აღმართავს სიყვარულად,  
დააქცია რაც მტრობამ:  
მუსიკა და პოეზია,  
ფიზიკა და მხატვრობა.

1960



## 30რა პოჩა

ადრე რა შორს მოჩანდა:

(ახლა გულზე ვასკდები)  
აპენინზე – ეტრუსკები<sup>1</sup>,  
პირინზიზე – ბასკები<sup>2</sup>  
და აღდგომის კუნძულზე –  
კოლხი ვირა კოჩა<sup>3</sup> და  
აზიაში ქასქები.<sup>4</sup>

1977

---

<sup>1234</sup> კოლხთა (ქართველთა) შორეული ნაშიერნი.



\* \* \*

მწუხარიდან – დილამდე ამოსული,  
ღრუბლები ცის სახეზე  
ჩანს წვერივით.  
დღე სადღაც მზეს მიფიცხებია.  
გარსკვლავები –  
მათემატიკური რიცხვებია,  
ოდესლაც უფლის ხელით  
დაწერილი.

1974



\* \* \*

სიყვარულის ხომალდზე –  
გარდისფერი ოცნება,  
მიკეთია აფრებად.  
პოეზიაც,  
მუსიკაც,  
არის ცაში გაფრენა.

1959



## გიგანტების მხრებზე ვდგავარ

„შოთა, აკაკი, ილია,  
გაუძინა და გალაკტიონი“.

მე, რომ აღარ დამინახონ,  
ამიტომაც ზოგ-ზოგები,  
თვალებს ძალით იბრმავებენ  
და სმენასაც იყრუებენ.  
აღარა დირს მათთან დავა.  
მე, შორს მიტომ ვიყურები,  
გიგანტების მხრებზე ვდგავარ!

2007



## დაჩის

გულშიც აღარ გაიფიქრო:

— ლექსს,

აბა თავს რას აკლავდა,

რა ზნე პქონდა,

რა რჯიდაო!

შვილო,

ჩემთვის პოეზია,

სულ,

ქვა იყო საჯილდაო!

2007



\* \* \*

ଯେ ଲୋମାନୀ ପକ୍ଷେତ୍ରଜୀବ  
ଗାଧିକ୍ଷେତ୍ରା ହିରାଦ,  
ତୁ ମାତ୍ରି ଏଣ ନିରବେଳେବେ  
ମୃଦୁଲୀ ଏବଂ  
ଫେରିରା.

2001



მარები, მაპრისები და მაპრალები

დავიწყების ნაპირებზე ჩამომსხდარნი,  
ნახევრად ტიტველნი და  
შიშველნი  
და გულზე ტყვია ნაკრავები,  
ხელებს კოლხეთისკენ იშვერენ:  
მარები<sup>1</sup>,  
მაკრონები<sup>2</sup> და  
მაკრალები<sup>3</sup>

1964

---

<sup>123</sup> კოლხთა (ქართველთა) შორეული  
მონათესავე ტომქბი.



\* \* \*

მოქითის ფერზე დგანან...

მორევიათ განა რული:

ჯვარს და

არმაზს

და ნარეკვავს.

და არაგვი, ანანურის ციხის ზარებს –

მცხეთასთან კვლავ ჩამორეკავს.

1977



## 9 აპრილი

მესმის მოთქმა,  
გოდება,  
როცა დგება მწუხარი.  
ხსოვნა,  
სევდას მაძალებს  
და ქვაშვეთის ტაძარი  
რეკავს ცრემლებს და  
წუხილს.

1986



## იბაროსი

„მზე – დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი“.

ერთურთს დაშორდნენ მზე და მთვარე –  
ძველი ცოლ-ქმარი.

მათმა ძეგ მიწა აღარ იკმარა  
და ცად აფრინდა,  
მაგრამ დედამ არ მიიკარა!!

და ცაშივე დასწვა ქუხილით.  
გაქვავებული მამა – მთვარე,  
მიწას რომ დაცერს შუბლშეჭმუხნილი.

1994



\* \* \*

შაოსან ღრუბლებს ზღვასთან უცდიდა  
და დაპყურებდა ცას გაფითრებითბ  
ნავში ესვენა ნეშთი –  
ეულის  
და მკერდზე ეწყო ფერმილეული,  
ყაისნადივით –  
გრძელი თითებით.

1961



\* \* \*

କେନ୍ଦ୍ରାଳୀର ପଦାଳାର ଧ୍ୟାନିଷ୍ଠା  
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରର ପଦାଳାର ଧ୍ୟାନିଷ୍ଠା:  
ମାତ୍ରମାତ୍ର ପଦାଳା ମହାମା,  
ଏହି ପଦାଳାର ପଦାଳା ପଦାଳା  
ଧ୍ୟାନିଷ୍ଠା...  
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରର ପଦାଳାର ଧ୍ୟାନିଷ୍ଠା...

2005



\* \* \*

(ვარიანტი)

ვით დღე და დამე დასალიერთან,

ჩუმად იყრება სული

და ხორცი.

მომაკვდავს ცრემლი ეღვრება ღველფად.

დგას ცივ სინათლედ

სანთლების ლოცვა,

ტირილად ისმის ძაღლების ყეფა.

1987



## ზღვა და თოლიები

არავინ იცის ზღვას თოლიები,  
წიგილ-კიგილით თავს რად  
აპლავენ.  
იქნებ გლოვობენ გრიგალს –  
გარეწარს,  
ცა, მზეს იფარებს,  
დღისით სახე რომ არ დაეწვას,  
ხოლო დამით კი მთვარის ჩრდილში  
ძინავთ  
ვარსკვლავებს.

1986



## ორმოვანი საცლავის ლოდზე

აქ არის ჩემი ნავსაყუდარი,  
ეს შავი ლოდი...  
და სხვა განძი არავითარი.  
მთელი ცხოვრება ვლოცულობდი მეც  
მნათესავით,  
და სიყვარულს და სითბოს ვთესავდი  
ვიყავ პოეტი,  
სიღარიბით ვიყავ მდიდარი.

2003



\* \* \*

ათასწლეულთა უდრანებიდან –  
ბდავილი მესმის ოქროს  
ვერძების  
და სიახლოვის მწვავს აგონია.  
დედამიწაზე ვედარ ვეტევი  
და წინაპრები ჩემი მგონია, –  
ცად მორიალე სილუეტები.

1996



\* \* \*

თუმცა დაბერდა მთვარე,  
მაგრამ ყოველი ესმის,  
ვითარცა აბედს,  
ავესის.  
ესმის ქუხილი ზევსის  
და ხმები ქრისტეს კვნესის.

1996



## უნგრეთში

ქართველები,

ჩვენ მებრძოლი ხალხი ვართ...

და უნგრეთის ცისქვეშეთშიც

გვესმოდა –

წინაპართა ხმები – მტერზე კვეთების.

და აშ ხნიერს,

ხსოვნა თუ არ მღალატობს,

მაშინ ნისლში მშვიდად მძინარ

ბალატონს

ფერი ჰქონდა ლექსის შანდორ პეტეფის.

1983



\* \* \*

დამეულ ფსკერზე ძილად მიყრილებს,  
სანამ გრიგალი ზვირთებს  
აშლიდეს,  
გულს გაიხეთქდეს მიწა საწყალი.  
მანამ მგრგვინავ ცას  
მზერით ამშვიდებ  
და ზღვა ბობოქარს –  
სიტყვით აწყნარებ.

2000



\* \* \*

ძეო ადამის!

ბევრჯერ შეგშლია,  
„ალილუია!“ მაგრამ უფალი,  
მიგიტევებს და...

აწ გაილადე.

რადგან შორს არა, თვითონ შენშია,  
მიწის სიღრმე და

ცათა სიმაღლე.

2004



## აპრილი პოლიტიში

გაზაფხული მინდორ-ველზე,  
კვლავ გადადის  
ჩუმად ყირას.  
მწვანე უჩანთ მოებს მაჯები.  
სხვამ რა იცის,  
ბუჩქის ძირას,  
ია-ია სილურჯით, ვით იტანჯება.

1980



\* \* \*

ଅଲାର ଶ୍ରୀର୍ଷ ନାଥଙ୍କା,  
ତାଙ୍କୁ ପଦିନାର୍ଜୁକୁ,  
ରାଫଗାନ ପ୍ରାଣେଣ୍ଡି  
ପରିଚାଳିତ ହେବାରେବା.  
ଅରାଜଶାଙ୍କ ରା, ଶେଖି ଶ୍ରୀଶବ୍ଦ ମଦିନାର୍ଜୁକୁ,  
କଥା,  
ଓ,  
କ୍ଷେତ୍ର ମାଲ୍ଯ ଦାତାଦରକୁରେବା.

1957



\* \* \*

მარტო ფხოვში კი არა,  
ფშავ-ხევსურეთს მთლიანად,  
რწმენის დროშა გაშალა:  
„აონმა“<sup>1</sup> და „ოიანამ“<sup>2</sup>,  
„ბოჩიმ“<sup>3</sup>,  
„კვარამ“<sup>4</sup>,  
„ლაშარმა“<sup>5</sup>.

1977

---


<sup>1,2,3,4,5</sup> – წარმართული ღმერთები.



\* \* \*

შენი მარჯვენა ხელისგულიდან –  
მზეს და სიცოცხლეს ალოკავენ  
ქვამარილივით, –  
ასწლეულები, როგორც სარები,  
და ბობოქარი შენი ლურჯი  
ზღვათა ტალღები, –  
ხმას ცის წვერამდე აიმაღლებენ  
და სივრცეებში იმქუხარებენ.

2003



### ხილვა: მომავა ხერმონ-თაბორის

ნისლია თუ მირონი,  
რომ ჩამოდის წყალობად?!  
ქრისტეს ნაფეხურების  
ისევე სურთ ამბორი.  
იესოს უგალობენ  
მთები –  
ხერმონ-თაბორის.

1983



## ო ნ ი ს ი მ ა მ

ზღვისკარად რომ გვიალერსებს –  
ოდოიძ<sup>1</sup> და ვოისა!  
ფეხზე ადექი და მოისმინე  
პონტოს ზვირთებიდან:  
ძველ-კოლხური სიმღერა  
ო ნ ი ს ი მ ა მ.

1987

---

<sup>12</sup> კოლხთა წარმართული ღმერთები.



## ხევსურეთის ღამე

ელგა ხანდისხან გაჰკრავს კვეს-აბედს  
და ნაპრალები ჩანან  
ყინვით გადალექილი.  
ვიღაც წყვდიადში ყივის: მოიცა!  
გადმოდგა ნისლი მთაზე ლეკივით  
და ხევსურეთი შიშმა  
მოიცვა.

1977



## ხილვა – მეღება, აჭსირტე, აიეფი

ისე ახლოს მოისმის ზარის რეკვა

ჰეკატეს,

თითქოს ათასწლეულთა გზები არ გაელიოს.

ნათლად გხედავ –

მედეას,

აფსირტეს და აიეტს,

ფაზისთან ვით ელიან –

მზის დვთაება ჰელიოსს.

1966



## თოლიერის ფოთლები

პორიზონტს მიღმა,  
დასალიერთან,  
მოჩანან მთები –  
დათოვლილები  
და მათ სიბერე არ აშფოთებენ.  
ხდვა,  
თითქოს ტყეა შემოდგომის  
და თოლიების –  
ცვიგა ფოთლები.

1971



## თარი, თური

ჩემად უმზერს თარიც<sup>1</sup>,  
 თურიც<sup>2</sup>,  
 რომ მტრისგან თუ „მოყვასისგან“,  
 როგორ მოდის შარიშურით,  
 თეთრი არა,  
 შავი შური.

1989

---


<sup>12</sup> წარმართ კოლხთა (ქართველთა) დვთაებები (წარმართ კოლხთა პანთეონში).



## შურის შავი ფარდები

ეფარება შენს იმედს,  
მერამდენედ, ვინ იცის,  
შურის შავი ფარდები.  
მაინც, შენი მკრთალი ცის  
ელი გალაჟვარდებას.

1998



\* \* \*

მზე რომ დატოვებს თავის საუფლოს

დღე,

დამეს უცებ დაემდურება.

მიმწუხრია და ვარსკვლავები

ცისკარს აღებენ.

ზარბაზნებივით, ეზოებში დგანან ურმები

და სოფელს ყელში გახირვია

ყველა ძაღლების.

1967



## ბათიანი სოფელში

თენდება...

ვიღაც უძახის მეზობელს –

ოვეე...

ოველია!

ქათმები გამოსვლას ერთმანეთს ასწრებენ:

და ცაზე კიდია სოფელი,

მამლების ყივილის –

ბაწრებით.

1978



## აჩხურის და ამონის

როგორ შვენის ეგვიპტეს

ქუდი —

პირამიდების

და სიმაღლე, რომელიც

ცისიერთან ამონებს.

და... იქ სუფეგს დიდება:

აჩხურის<sup>1</sup> და ამონის<sup>2</sup>.

1972

---

<sup>12</sup> ეგვიპტური დმერთები.



\* \* \*

უსამანო სივრცეებში ფრთების  
გაშლისთვის

იცი, უფალი არ გაგიწყრება  
და რად პგონიათ აღმაფრენა  
შენი დამთავრდა.

პირიქით,

ჩემო, ახლა იწყება...

მხოლოდ იმ ერთმა,  
დმერთმა იცის გზები მართალთა.

2002



\* \* \*

გასცემი კოლხეთს აიეტივით,  
— აქ არის შენი ფუძე და ნერჩი.  
და თვალს აყოლებ  
დრო — უამის ბრუნვას,  
რადგან შენ იგი არაფერს გერჩის,  
ვითარცა მზის შვილს,  
ვით ლომს და უნასს.

1989



\* \* \*

ათას ქარ-ცეცხლ გამოვლილი,  
მშობლიურ პორტს სიყვარულით,  
როცა მიაბდავლებს გემი,  
მაშინ ზღვაო, დედასავით,  
აღელვება,  
როგორ გშვენის.

1986



\* \* \*

ვადიდებ და ვაღმერთებ,  
ბერძნულსა და  
რომაულ,  
გ.ი. ანტიკურ:  
აზროვნებას პოეტურს,  
წვდომას  
მათემატიკურს.

1980



## ხეთი, ხათი და ალიბი

შორეულ წარსულში დამსხდარნი,  
ძველ კოლხურ,  
რომ გაიგებენ,  
მთვლემარნი, წამს ყურებს დაცემებენ:  
ხეთი<sup>1</sup>,  
ხათი<sup>2</sup> და ალიბი<sup>3</sup>,  
მაია<sup>4</sup>, ინკი<sup>5</sup> და  
აცემტი<sup>6</sup>.

1968

---

<sup>123456</sup> შორეული კოლხური (ქართველთა) მონათესავე ტომები.



## ପାତି ଏବଂ ପାତି

ଅତାସି ଖେଳୀ ଶେଷକେରିନ୍ତ  
ଯାବ ଲାମାଚିନ୍ତା ରାଜ  
ଧୟାଲୁଙ୍କରିତିଲ୍ଲି,  
ରାମଜ୍ଞିଲୀର ନିରାଶ ଆର ନିରାଶ,  
ଜନାଖା ଗ୍ରେହି,  
ଦାତିଥୀ ଶକ୍ତିଶୀଳ,  
ଧିରା ଜି ଆରା,  
ଫ୍ରାଙ୍କିଲି ବନ୍ଦିଶ.


1986



\* \* \*

ზოგ ცოდვილს მდუღდარე კუპრი, და  
ზოგსაც სამოთხე მიელის.  
მსურს იყოს უფლისგან  
დაცული:  
ჩემს ზემოთ ცა – ვარსკვლავიერი  
და ჩემში –  
სიამაყე კაცური.

1993



## მე ადამის

მოვიდა...

და აღარ იცოდა,

არც არითმეტიკა...

და აღარც რიცხვები.

და მე ადამის – ცას შეციცინებდა,

და...

თვლას სწავლობდა მურიცხებით\*.

1974

---

\* მურიცხე (მეგრ.) – ვარსკვლავი.



## სული პეტიონს და პიძიონს

წარსულის ქარიშხელებს მოყოლილი,  
პატარა ტალღა,  
ვით ამფორა –  
აღსავსე სულით ბეჭირის  
და ბიძირის  
მოადგა ნაპირს და ეამბორა,  
გახედა კოლხეთს და...  
ჩაიძირა.



## ამინდის უცარი შეცვლა ზღვაზე

სახეფერმქრთალი და ნაღვლიანი  
ელგა ხშირ-ხშირად  
მოვარის სარკეში იყურება  
და იწნავს ნაწნავებს.  
ნეტავი ამ ზღვას რა აღრიალებს,  
ანდა ეს ქარი  
რას დაწანწალებს.


1987



\* \* \*

ვარსკვლავთა ზოდებით –  
ცას უფლის ანაგებს,  
ანგრევენ და თავებს ირცხვენენ.  
სამყაროს განაგებს –  
მათემატიკური რიცხვები.

1980



\* \* \*

მზის და მთვარის თვალება

ცა დაგყურებს მუნჯივით

და გაბრმავებს სინათლე;

მოგიგდია სამყარო ზურგზე,

როგორც ხურჯინი

და წყვდიადში კი არა,

სამოთხეში მიათრევ.

1999



\* \* \*

აღარსად ჩანდნენ ალბატროსები,  
გემბანიდან კი სევდანარევი,  
ქარებს მოჰკონდათ ხმა  
სიმღერების –  
მებადურების და მატროსების.  
და ლურჯ პორიზონტს როცა  
გავხედე,  
ვნახე: ზღვა ზეირთთა მუშტს მიღერებდა,  
განრისხებული,  
ბლუ და თაგხედი.

1986

\* \* \*

დამის საყდრულ სიჩუმეში,  
ანგელოზთა ხმაც  
არ ისმის,

უფლის შიშით მოცულების.  
ცა – მღვიმეა,  
ვარსკვლავები  
იქ, დილამდე ლოცულობენ...

1996



\* \* \*

ათასეულ წლის წინათ,  
რომს,  
მინოსსა და თებეს,  
ბერძენი, არც რომაელი,  
კოლხები გახლდათ მეფედ,  
რომელთაც მთელი სამყარო  
ომების სისხლით დებეს.

1974



\* \* \*

მიღიონი წელია,  
ცა, რომ დაწერილია,  
ვარსკვლავებით კი არა,  
ძველ კოლხური ანბანით  
და შენ გელის, ვით მგოსანს,  
მზის ემბაზში განბანილს.

2001



## ა მ თ ა ნ დ ი ლ ს

გიხმობ,

გეძახი,

და ხმა არსაით,

შენი სახელი ქვაზე სწერია.

წევხარ მიწაში გაუპარსავი

და საფლავიდან რომ ამოვიდა

ბალახი არა,

ძმაო,

ალბათ შენი წვერია.

1993



\* \* \*

ამირანის ცეცხლი გბუგავს,  
სიყვარულის ბოლი აგდის.  
მხენელად თავზე  
ცა გახურავს.  
და დგახარ, ვით გოლიათი,  
მშობელ ქვეყნის სამსახურად.

2005



\* \* \*

შემოდგომის ფოთლების სიყვითლე,  
რაც ქარი დაგპირდა,  
ბაჯაღლო ოქროა ნაწური?  
ზღვას ვკითხე,  
შემომდგარს ნაპირთან,  
ზღვამ მხრები აწურა.

1988



\* \* \*

მიმწერიდან დილამდე,  
ხელში მთვარე გიჭირავს  
ისე,  
ვით სალამური  
და ბნელს ნათელს მიუფენ:  
მიწიერმა,  
ციური პოეზია იუფლე.  
და მშვილდმოზიდული  
გითვალთვალებს ამური.

1970



\* \* \*

ნილოსთან,

განგთან თუ ფაზისთან,

სხვის არა,

მზის\* სამოსახლოა.

და კოლხეთს არ უჩანს სამანი

და ვხედავ –

ცასთან რა ახლოა,

ბაბილონი,

მცხეთა და ქანაანი.

1970

---

\* მზე – იგულისხმება პელიოდის ნაშიერნი: იაფეტი,  
პიპერიონი, აქციუსი, აიეტი და ა.შ.



## პოეზიის პალეიდოსპონაი

ცას თეთრ შუბლზე რომ აზის  
მთვარე,  
თითქოს კოპია,  
ვითომც და რომ არცხვენებ.  
და „კოლხური ფსალმუნი“  
კალეიდოსკოპია —  
საგსე მეტაფორებით და  
ვარსკვლავებთა  
ნამსხვრევით.

2002



## რემისა და რომულის

ქლვა –

ჩემი ფიქრია,  
დედამიწას რომ უკლის,  
და მე ისევ ისე:  
რემისა და რომულის,  
ძებუს რომ აწოვებდა –  
იმ მგლის ყმუილს ვისმენ.

2007



\* \* \*

გაზაფხულის მოლივით –  
ეამი ფეხქვეშ გერთხმის.  
სამყარო გაქვს მოვლილი  
და კვლავ გწყალობს ღმერთი:  
ხელთ გიპყრია აზრის და  
პოეზიის კვერთხი.

2005



\* \* \*

დამის ცაზე რომ ჰკიდია,  
მთვარე,  
როგორ პგავს ბუმერანგს,  
მიმწერი რომ მხრებით ზიდა.  
ზვირთი იხდის ქარის პერანგს  
და ამოსვლას ლამობს ზღვიდან.

1967



\* \* \*

ქალი არა,  
მზე მომტაცეს  
და წარსული ამიოხერეს:  
მედეაზე ფიქრი მლახვრავს.  
ვეფერები მე ძველ კოლხეთს,  
ვითარც ზღაპრულ  
მზეთუნახავს.

1969



## ბანეთშილების გაშლი

მეოცე საუკუნის –

ჩუმად მიხურე კარი,

არავის დარჩი ვალში.

ცაზე დაჰკიდე მთვარე –

განხეთქილების ვაშლი.

1978




ა. გ. წ. 70

\* \* \*

ଅବ୍ଲେଷ ଯି ଆରା,  
ଫାସାଦାମିଦାନ,  
ଆର୍ତ୍ତାଗାମରିଗ୍ରେ, ରାଗନାରା  
ଫାଗୁଣିରିଦା:  
  
ଓ,  
ମିଥିଲା ମତିଏବେ ରାତି ଫାରିଲିଶାଗ୍ରେ,  
ମାତ୍ରିନ ଖଲ୍ଲା ମିଲାଏ ମିଜଧିବା  
କାହାରାକୁ ନାହିଁରିତାନ  
ଫା ତାଙ୍କୁରାକୁମଳାଏ ନିର୍ମଳିବେ କାରିଶବାଲିବେ.

1986



„იულიუსი-ივლისი“

გაუძლებ შურს და ომებსაც,  
თვალებში ნაცრის შეფრვევას,  
რაც საგზალი დღეის არი.  
მაგრამ მოვა „თვე“, რომელსაც,  
ვით „იულიუს“ კეისარი,  
„ეგრისელი“ ერქმევა.

1969



## პოლეშვირი ღამე

ღამის იქითა სივრცეში  
ელვა წყვდიადში  
თარეშობს,  
თუმც ცაში ბუდობს მურიცხი\*,  
უზომო,  
უანგარიშო,  
უთვალავი და ურიცხვი...

1961

---

\* მურიცხი (მეგრ.) – ვარსკვლავი.



\* \* \*

(ვარიანტები)

თავგამეტებით რომ მისდევენ კვალს  
გლისერების,  
უღვთოდ სიცოცხლე აღარ სურვებიათ.  
შენ დაფრენენ და ზეირთებში  
რომ მკერდს ისველებენ,  
თოლიები –  
წყალში დამხრჩვალთა სულებია.

1982



\* \* \*

ლეგენდიდან გადმოსული,  
ცისქვეშეთში მარტო რომ ხარ,  
შენ ათასი მომხრე გინდა:  
თეთრ პეგასზე ამხედრებულს,  
ქრისტეს მხედარს –  
კოლხეთიდან.

1971



\* \* \*

სივრცეების აივნიდან –  
გადმოჰყურებს ცოდვილ მიწას,  
მთვარე,  
როგორც მოურავი.  
არ აშინებს ზეგსის<sup>1</sup> რისხვა,  
არც ქრონოსი<sup>2</sup>,  
არც ურანი<sup>3</sup>.

1968

---

<sup>1</sup> ზეგსი (ბერძ.) – კაცთა და დმერთა მამა

<sup>2</sup> ქრონოსი (ბერძ.) – დროის განმასახიერებელი  
დევთაება.

<sup>3</sup> ურანისი “ბერძ.” – ცის განმასახიერებელი უზენაესი  
დევთაება



\* \* \*

მოგარდა და ქარიშხალმა  
ყურში რაღაც ჩაჩურჩულა,  
(არვინ იცის რას დაპირდა,  
ვინ გაიგებს ქარის ენას?!)  
ჩაიმუხლა ზღვამ ნაპირთან  
და მკვდარივით მიესვენა.

1997



\* \* \*

ასი ათასი წელი გავიდა,  
რაც რომ შენი ხმა  
მოგვდევს,  
მოგვიგის...  
არც ადამი ჩანს და აღარც ევა.  
შენ პოეზიის გადევს  
ბორკილი  
და ნუ მოგასწროს ღმერთმა  
მის მსხვრევას.

2007



## ზღვა და კლდე

ნისლის თავზალმიანი

კლდე დგას კვლავ თავმომწონედ...

სიკვდილის თუ მგლისფერი ადევს

მიმწუხრს სახეზე:

რადგანაც კლდეს შეასკდეს,

ზღვას გრიგალი

აქეზებს.

1997



## ხილვა: მომღერალი პოლიტიკური

სანამ მამალი მზეს იყივლებდა,

მე

მოვიარე დედამიწის

ყველა კუნჭული

და ხსოვნის მიღმა,

შორს,

გარდასულ ათასწლეულში

ვნახე: ზის კოლხი

ვითარც შაშვი თვალმოსუქული

და მთელ სამყაროს ატკბობს თავისი

ტკბილი ღურჭულით\*.

1972

---

\* ღურჭული (მეგრ.) - სიმღერა, გალობა.



\* \* \*

დამის მიღმა,  
აღმოსავლით,  
მზის ლეპების ისმის ყველა  
და იზრდება შიში ხავსად.  
ელვა ცას თმებს გადაპარსავს,  
გამოაჩანს მთვარის  
  
კევას.

1972



\* \* \*

(ვარიანტი)

ერთი ვარსკვლავი სადღაც –

ქრება და ისევ ციმციმებს

და ცას სიშორე კორტნის...

ტყვიის ღრუბლების სიმძიმით –

დამეს ემტვრევა ტოტი.

1984



\* \* \*

სასოფტმლად უდევთ მთვარის ბალიში,  
სძინავთ ვარსკვლავებს –  
ლამაზ ქალწულებს,  
რომლებიც ღამით შიშველ სხეულს  
ვერ იფარავენ.  
და დღე-დამეებს ერთმანეთზე  
გადაბაწრულებს,  
ცის უდაბნოში ვიღაც ისეგ  
მიაქარავნებს...

1975



### ჭარსულის იქით

გუშინ თუ,  
გუშინწინ მოსულებს,  
აქრეოლებთ მტრებსა და  
აგსულებს,  
ვით ელვა ბნელში რომ მიჰქრი...  
რომ გიხმობს კოლხეთის  
წარსული,  
სადღაც შორს...  
წარსულის იქით...

1979



\* \* \*

ଘ୍ୟାନିଧାନ ମନ୍ତ୍ରବ୍ୟାନିକ୍ ନାବିର୍ସ,  
ବ୍ୟାରନ୍ତେଲ୍ଲେବା ମନାଜ୍ଵିଶ ମନଲୋକ,  
ନାହାନ ତାହିଁ ମଦାଦିଲାଦ  
ଜୀବରୀଳ.  
ନିବ୍ୟାନିଧାନ ମନ୍ତ୍ରବ୍ୟାନିକ୍ ନାବିର୍ସ  
ଏବଂ ଶେମନିଧାନ ଶେମନିଧାନ  
ମନ୍ତ୍ରବ୍ୟାନିକ୍.

1962



## იოანე ხუცესი

მასთან არის ერი,  
ბერი,  
სიდიადე,  
სიკეპლუცე,  
ღმერთკაც იოანე ხუცესი –  
დავით აღმაშენებელის  
მზე ადგას და  
გული უცემს.

1991



## 800 ჰელისტო

მოსვლის დღიდან გწყალობს ღმერთი,  
ოუმც უმძრახად ხარ  
მეფესთან,  
სამჭედლო კი მაინც ბოლავს,  
და შენც ისე,  
ვით ჰელისტო,  
ჰელის...  
პოეზიის ფოლადს.

1974



## სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....	5
პეფესტო და თარხონი.....	25
*** (რადგანაც იგი ეწამა ჩვენთვის) .....	26
*** (ცათამბჯენის ოუ ოკეანის) .....	27
ხმა წარსულიდან .....	28
*** (თვალებს განზრას იბრმავებენ) .....	29
*** (მესიის დიდ მოლოდინში) .....	30
ევქსინი და პელესპონტი .....	31
ბავშვობის მზე .....	32
*** (სოფლის ღობიდან გადმომდგარა და...) .....	33
*** (ათასწლეულების წინ ნაშენ) .....	34
*** (სოფლად ურმის ჭრიალთან) .....	35
*** (საიდანდაც რომ გვეალერსება) .....	36
*** (ოთარაანთ ქვრივს როს სარჩო წართვეს) .....	37
ბროწეული .....	38
*** (მოყვავილე ცის მინდორზე) .....	39
*** (შიშველი მუცლები მოუჩანთ ღორჯოებს) .....	40
ფშავ-ხევსურეთში .....	41
*** (ზღვის ბინადარნი) .....	42
გენესარეთის ტბასთან .....	43

*** (Ծրբության մտություն) .....	44
*** (Վայրենաց պատճենակ) .....	45
*** (Ցույց) .....	46
*** (Եկեղեցիան քայլություն և վայրենաց պատճենակ) .....	47
*** (Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	48
*** (Վայրենաց պատճենակ և վայրենաց պատճենակ) .....	49
Սահմանադրություն և պատճենակ պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	50
*** (Եկեղեցիան պատճենակ և վայրենաց պատճենակ) .....	51
*** (Վայրենաց պատճենակ և վայրենաց պատճենակ) .....	52
*** (Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	53
*** (Վայրենաց պատճենակ և վայրենաց պատճենակ) .....	54
Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	55
*** (Վայրենաց պատճենակ և վայրենաց պատճենակ) .....	56
*** (Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	57
*** (Վայրենաց պատճենակ և վայրենաց պատճենակ) .....	58
Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	59
Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	60
*** (Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	61
*** (Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	62
Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	63
Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	64
Վայրենաց պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ-Եկեղեցիան պատճենակ) .....	65

*** (ელვა მიწას თვალს ჩაუკრავს) .....	66
მზე კოლხეთში აღმოხდება .....	67
დარდით გადახურული .....	68
*** (ქარიშხლით მთვრალი და გალეშილი) .....	69
ჰუნები .....	70
უულევთან .....	71
*** (სამშობლოს მზეა ამომავალი) .....	72
ჯგურგე .....	73
*** (მზე რომ მიმწუხრს მიეფარება) .....	74
*** (არ დაუდვია თავი ბალიშზე) .....	75
*** (პონტოს ზვირთთა გრაგნილებზე) .....	76
შეეჯიბრები ამირანს და .....	77
*** (ქამი, როგორც ცხვრის ფარას) .....	78
მტკვარი და რიონი .....	79
ოპო, ოპო! .....	80
*** (მიწა ლუსკუმია და...) .....	81
100 000 .....	82
ბინადართა მწყემსო კეთილო) .....	83
ფილისტიმს და რახაბის .....	84
*** (ვარსკვლავებიანი ცა) .....	85
*** (ზეცას მუცელი უცებ ასტკივდა) .....	86
*** (მზე კვლავ მზეობს) .....	87
*** (ჩემი ცხოვრების საჯინიბოში) .....	88
მთები და ბილიკები .....	89

გურიაში .....	90
*** (გადაშლილია კიდით-კიდემდე) .....	91
*** (ახლახან რომ თეთრი ეცვა .....	92
*** (ათასლწულების მერეც) .....	93
*** (ორვლის ქათქათა სარეცელზე) .....	94
*** (შავითმოსილი) .....	95
სემი და ქამი .....	96
ბილიკები .....	97
ზღვა და ცა .....	98
*** (ერთხელ იქნება) .....	99
*** (შურითადვსილნი ბევრი ეცადნენ) .....	100
პონტოს ტალღები .....	101
*** (სამარეს თხრიან...) .....	102
*** (ცას და მიწას) .....	103
ეგვიპტის ცხელი უდაბნოები .....	104
პაპი .....	105
ლაზებსა და მარგველებს .....	106
კრწანისის ველი .....	107
ანაკონდა .....	108
ვით იადოვა .....	109
*** (დამის იქიდან თუ არყოფნიდან) .....	110
*** (ზეცისკენ მიაქვს ლოცვები) .....	111
*** (ცალი თვალი კი ცისკენ უჭირავთ) .....	112
შესაწირი .....	113
*** (ვარსკვლავები კი ლამით) .....	114

შირაზში.....	115
*** (მთვარე და მღოსანი) .....	116
*** (ათასწლეულებში მითვლემილი) .....	117
ღმერთთა ომი.....	118
*** (არაფერია სადარდელი) .....	119
*** (ბევრჯერ...) .....	120
*** (სხვის კი არა...) .....	121
*** (მოლოდინში გაზაფხულის წეიმის) .....	122
*** (ელვა კი არა...) .....	123
*** (შოორ წარსულიდან მოგესმოდა) .....	124
*** (დამთავრებულა მწერის ლოცვა) .....	125
*** („აიების“ ნაშიერნი) .....	126
ზვირთები .....	127
ისევ კავკასიონი .....	128
*** (ძვალი და ტყავი) .....	129
ვით იანუსი .....	130
ალბათ სააკაძე .....	131
*** (დღემ ჩასვენა მზე ზღვის კუბოში) .....	132
ბროწეულის ხე ციხის გალავანზე .....	133
ისევ ილოსი .....	134
მთვარეს აითაიგულებს .....	135
*** (ბაბილონი) .....	136
მთვარე – აიეტის სასახლე .....	137
*** (ასეა ახლაც) .....	138
*** (გაჩენის დღიდან ჩაესმოდა) .....	139

*** (ქუხილის ხმაზე) .....	140
*** (უფლისგან ნაბოძები) .....	141
*** (ქარის კალთით მოტანილი) .....	142
*** (წყალიც ძილად იურვის) .....	143
*** (სიმყუდროვიდან მზის ნაბიჯები) .....	144
*** (ასე ყოფილა) .....	145
ათონში .....	146
*** (მიწაზე არა) .....	147
კიპარისები .....	148
მიტომ ახლო მიხველ ღმერთთან .....	149
*** (რქებზე მზე დანოებულები) .....	150
*** (ხალიბების ქურაში) .....	151
ცა – ვარსკვლავების ქვიშის საათი .....	152
ხილვა: უტურფურსი .....	153
*** (უსამანო სივრცეში) .....	154
*** (ბიბლიიდან ხმა ისმის გოდების) .....	155
თიბილ-ტაბულ-ტიბარები .....	156
*** (ხელო უჭირავს მთვარის წიგნი) .....	157
დამშვიდება .....	158
ცა – ვარსკვლავების არის საფლავი .....	159
*** (ბევრმა მძვინვარე ათასწლეულმა) .....	160
აიები და იაზონი .....	161
*** (შემკრთალი ელვა დახტის) .....	162
*** (მეხმა როდესაც გაიგრგვინა) .....	163
*** (სიშორის იქით) .....	164

ჩარგალში კოპალას ქვასთან .....	165
ლაზარე .....	166
სტრაბონი .....	167
*** (წვიმა წვრილი და გრძელი თითებით) ...	168
*** (უფლის ხელით დაპეტილი) .....	169
აგრაფინა .....	170
*** (დღე-ნიადაგ მასზე მლოცველს) .....	171
შურის ციხე .....	172
მზე და მოვარე .....	173
*** (მარტი მოიპარება) .....	174
ეგრისის მთები .....	175
*** (შენი ხმა ელვად ეულის სამყაროს) ....	176
მე და შავი ზღვა .....	177
*** (ათასწლებულების მერეც) .....	178
მირა კოჩა .....	179
*** (მწუხრიდან – დილამდე ამოსული) .....	180
*** (სიყვარულის ხომალდზე) .....	181
გიგანტების მხრებზე ვდგავარ .....	182
დაჩის .....	183
*** (ეს ლამაზი ცხოვრება) .....	184
მარები, მაკრისები და მაკრალები .....	185
*** (მთები ფეხისწვერზე დგანან) .....	186
9 აპრილი .....	187
იკაროსი .....	188
*** (შაოსან ღრუბლებს ზღვასთან უცდიდა). 189	

****(ხსოვნას ვფიცავარ...)	190
****(კით დღე და დამე დასალიერთან).....	191
ზღვა და თოლიები .....	192
წარწერა საფლავის ლოდზე.....	193
****(ათასწლეულთა უღრანებიდან) .....	194
****(თუმცა დაბერდა მთვარე).....	195
უნგრეთში .....	196
****(დამეულ ფსკერზე ძილად მიყრილებს). 197	
****(ძელ ადამია) .....	198
აპრილი კოლხეთში .....	199
****(აღარ სურს ნახვა). .....	200
****(მარტო ფხოვში კი არა) .....	201
****(შენი მარჯვენა ხელისგულიდან) .....	202
ხილვა: მთები ხერმონ-თაბორის.....	203
ონისიმე.....	204
ხევსურეთის დამე.....	205
ხილვა: მედეა, აფსირტე, აიეტი .....	206
თოლიების ფოთლები .....	207
თარი, თური.....	208
შურის შავი ფარდები.....	209
****(მზე რომ დატოვებს თავის საუფლოს) .....	210
განთიადი სოფელში .....	211
აჩხურის და ამონის.....	212
****(უსამანო სივრცეებში ფრთების	

გაშლისთვის).....	213
*** (გასცემი კოლხეთს აიეტივით) .....	214
*** (ათას ქარცეცხლ გამოვლილი).....	215
*** (ვადიდებ და ვაღმერთებ...) .....	216
ხეთი, ხათი და ალიბი.....	217
ბატი და გედი .....	218
*** (ზოგ ცოდვილს...) .....	219
ძე ადამის .....	220
სული ბექირის და ბიძირის .....	221
ამინდის უეცარი შეცვლა ზღვაზე .....	222
*** (ვარსკვალვთა ზოდებით) .....	223
*** (მზის და მთვარის თვალება) .....	224
*** (აღარსად ჩანდნენ ალბატროსები...) .....	225
*** (დამის საყდრულ სიჩუმეში) .....	226
*** (ათესეულ წლის წინათ) .....	227
*** (მილიონი წლის) .....	228
ავთანდილს .....	229
*** (ამირანის ცეცხლი გბუგავხ) .....	230
*** (შემოდგომის ფოთლების სიყვითლე) .....	231
*** (მიმწერიდან- დილამდე) .....	232
*** (ნილოსთან...) .....	233
პოეზიის კალეიდოსკოპი .....	234
რემისა და რომეულის .....	235
*** (გაზაფხულის მოლივით) .....	236
*** (დამის ცაზე რომ ჰკიდია) .....	237

*** (յալու արա, միջ մոմիցացներ) .....	238
ցանեցոյնուղեծներ ցամլուն .....	239
*** (աելու կո արա) .....	240
„ուղուցուուցնուուն“ .....	241
յուղեցրու դամե .....	242
*** (տացգամեթեծնուուն) .....	243
*** (լոյցենուղան ցամուշուլուն) .....	244
*** (Տուշրուցնուուն առաջնուղան) .....	245
*** (մոցարդա դա յարուժեալմա) .....	246
*** (ասու առասու Ռյուլու ցազուցա) .....	247
թօղա դա կլուց .....	248
եուղա: մոմցըրալու յուղեն .....	249
*** (քամու մուղմա) .....	250
*** (յրտու ցարսէցնուցա) .....	251
*** (Տատուումունա շուղյուտ մուցարուուն ծալումն) .....	252
Ռարսչուցնուուն օվուուն .....	253
*** (Ծոցուցան մոխոնինյ նաձուրե) .....	254
օռանյ եշցըսու .....	255
Յուտ չյցյէսըտ .....	256

2. December 18



2020.6.

ვაჟა ებრისელი

## გოლუშრი ჭსალმუნები

100 ტომაზ  
ტომი 19

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 19

- |                     |                             |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის       |                             |
| რედაქტორი           | – ნაირა გვრაია              |
| მხატვარი            | – სპართაკ ციცაძემ           |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე           |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღვამიშვილი           |
| კორექტორი           | – ვიქრია ლიკაშვილი          |
| კომპიუტერული        |                             |
| უზრუნველყოფა        | – ნანა და დათო ყადეაშვილეათ |
| გამომცემელი         | – ზურაბ დოლგაია             |

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „კონვენციალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com